# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 19 ივნისი 2003 №112 (1883) | ფასი 50 თეთრი


# მოდით, მნახეთ

## ფაჩულია ამერიკას თავს აწონებს

## მარკოიშვილს სკუდეტო მოეწონა



ეს წლებია, საკალათბურთო მსოფლიოს ძნელად წარმოსათქმელი გვარ-სახელის ბიჭების ნაკადი მიაწყდა. უცხოელები თავიდან გაკვირვებულები კითხულობდნენ, თუ ამერიკის შტატ ჯორჯიიდან ხართ, პასპორტში ამერიკის შეერთებული შტატები სამშობლო ქვეყნად რატომ არ გიწერიათო. მერე „შეგვეჩვივნენ“ და გაიგეს, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა „ჯორჯია“, სადაც კარგი კალათბურთელები, მავანი საკალათბურთო სკაუტის თქმით, ხეებივით იზრდებიან. მოგვაპყრო თვალი ცივილიზებულმა მსოფლიომ, გაინგრა ჯებირი და გაედინა ქართული ნიჭი საზღვარს გარეთ, ჯერ ბებერ ევროპაში, შემდეგ კი ახალ მიწებზე...

გუშინ ამერიკაში ბედის საცდელად გაემგზავრა კიდევ ერთი ქართველი, მანამდე თურქეთის „ულქერში“ მოთამაშე ცენტრი ზაზა ფაჩულია. ზაზა ნიუ იორკში ორ ვორქაუთში, ანუ ნბა-ში გადასასვლელად გამზადებული ახალგაზრდების საჯარო ვარჯიშში მიიღებს მონაწილეობას. იქ მას უკვე არა უბრალო სკაუტები, არამედ ნბა-ს კლუბების მწვრთნელები შეავლებენ გაწაფულ მზერას და მზვერავების ნათქვამს საკუთარი თვალით ნანახს შეუფარდებენ. 26 ივნისს კი დრაფტია, სადაც, თუ ფაჩულიას გაუმართლა და, რომელიმე კლუბმა აიყვანა — ეს კი უეჭველად მოხდება — ვოვა სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის კვალად ნბა-ში მესამე ქართველი შეაბიჯებს.

ამასობაში კი სხვა „ჯორჯიელი“ საკუთარ წარმატებას ბებერ კონტინენტზე სჭედავს. უბრალო, ქართველმა მშრომელმა ბიჭმა, 17 წლის მანუჩარ მარკოიშვილმა მყარად მოიკიდა ფეხი იტალიურ ევროგრანდ „ბენეტონში“ და ამ კლუბის დიდი გამარჯვებების და სიხარულის მონაწილეა. მართალია, „ბენეტონმა“ წააგო ევროლიგის ფინალი, მაგრამ არავის დაუთმო სხვა დიდი ტიტული. გუშინ მარკოიშვილმა და მისიანებმა იტილიის პლეი ოფის ფინალში მეორე იტალიური გრანდი, ბოლონიის „სკიპერი“ დაამარცხეს. სხვათა შორის, მარკოიშვილმა გაიმეორა ნიკა ცქიტიშვილის მიერ შარშან გავლილი გზა.



მანუჩარ მარკოიშვილი (№13) „სკიპერის“ ფარს თამამად უტევდა

# ლაპორტას ლაი-ლაი ბარათი: ანრი, რონალდინიო...

## რონალდო გაიხდის, ბექემი ჩაიცმევს



REUTERS ფოტო

ტიერი ანრის კინკილა გოლით გუშინ საფრანგეთის ნაკრებმა კოლუმბია დაამარცხა. ლონდონური „არსენალის“ თავდამსხმელმა ამ დღეებში, ვინძლო, კიდევ ბევრჯერ გაიტანოს, რადგან გუშინ ფიფასგან რეკლამირებული და მრავალთაგან დაწუნებული კონფედერაციათა თასის გათამაშება დაიწყო, აქვე ვთქვათ, რომ ამ ტურნირის მეორე მატჩში ზიკოს გაწვრთნილმა იაპონელებმა ახალზელანდიელებს 3:0 მოუგეს და ისევ ანრის დავუბრუნდეთ.

საქმე ისაა, რომ ესპანური „ბარსელონას“ ახლადარჩეული პრეზიდენტი ხუან ლაპორტა, დევიდ ბექემი მოსისხლე „რეალში“ რომ გაექცა, ახლა სწორედ ტიერი ანრის ყიდვას დაპირდა კატალონიელებს და იქვე ბრაზილიელი რონალდინიოც ახსენა. ლაპორტას არჩევანი ნაღდად არ დაეწუნება, ოღონდ ეგაა, ანრი და რონალდინიო მხოლოდ დაპირებად დარჩება თუ სიტყვას საქმე მოჰყვება, საკითხავია.

წლევანდელი სატრანსფერო რია-რიის მთავარი გმირი დევიდ ბექემი კი იაპონიას სტუმრობს პოშმეუღლესთან ერთად. აზიური სარეკლამო კამპანიის დასრულებისთანავე კი მადრიდს ჩავა და იქაურები 11-ნომრიან მაისურას დაახვედრებენ, რონალდოს უთქვამს: ბექზის იყოს, მე ცხრიანით შევიმოსებიო.





გუშინ ტიერი ანრიმ კოლუმბიას გაუტანა, რონალდინიო გატანას დღეს ეცდება, ხუან ლაპორტას კი ფრანგი და ბრაზილიელი „ბარსელონისთვის“ შეუგულებია



REUTERS

ახალი ზელანდია — იაპონია. ცუნეიასუ მიამოტომ ვაუგან კოვენი ბურთთან არ მიუშვა



REUTERS

საფრანგეთი — კოლუმბია. ხერარდო ბედოია და სილვენ ვილტორდი (№11)

## 2003 წლის ფიფას კონფედერაციის თასი

I ჯგუფი. I ტური

| | |
|---|---|
| ახალი ზელანდია 0:3 იაპონია | საფრანგეთი 1:0 კოლუმბია |

### დანია

სუპერლიგა. XXXII ტური

ოლბორგი 1:0 მიდტიულანდი
ბრონდბიუ 0:1 კოპენჰაგენი
აკადემისკი 1:2 ფარუმი
ოდენსე 4:3 სილკებორგი
ვიბორგი 6:1 კიოგე
ორჰუსი 1:1 ესბიერგი

### რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

ზენიტი 3:0 ტორპედო-მეტალურგი
დინამო 3:2 ჩერნომორეცი
ტორპედო 2:0 სპარტაკ-ალანია
ურალანი 2:2 ცსკა

### შვედეთი

XI ტური

იოსტერი 1:2 იორგრიტე

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა XXX ტური

დინამო 4:2 მეტალისტი
კარპატი 3:2 ოლიძსანდრია
კრივბასი 2:4 ჩერნომორეცი
მ. ზაპოროჟიე 1:1 ტავრია
ობოლონი 0:3 მ. დონეცკი
შახტარი 3:0 არსენალი
ვოლინი 4:5 დნიპრო
ვორსკლა 1:1 ილიჩევეცი

### ფინეთი

VIII ტური

იარო 1:1 ლაჰტი
იოკერიტი 0:0 ჰაკა
ტამპერე 2:0 ჯაზი
ტურკუ 2:2 ალიანსი

„დინამოს" 34 წლის მეკარე ირაკლი ზოიძე ის ფეხბურთელია, ვინც თერთმეტგზის ჩემპიონის ბევრ სიხარულს და ტკივილს შესწრებია. „დინამოს" გაჩემპიონებაში მისი წილიც ურევია, თუმც ის დროც გვახსოვს, როცა ზოიძე „ტორპედოში" ირჯებოდა და თავის ამჟამინდელ კლუბს საჩემპიონო გვირგვინს ართმევდა.

სადაც თამაშობდა, ყველგან პატივისცემით ეპყრობოდნენ, მუდამ მშრომელი და დაუზარელი იყო. მას ჰქონდა ჩავარდნებიც, იყო პერიოდი, ბურთს დასანახად ვერ იტანდა, მაგრამ სერიოზულად მოსაყვედურეც არასდროს ჰყოლია.

ზოიძემ გუშინ მორიგი დინამოური სეზონისთვის მზადება დაიწყო. საინტერესო გახლდათ გუნდის ვეტერანის შეხედულებები მომავალ სეზონზე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სხვა ქართველ მეკარეებზე და დიღმის ბაზაზე ინტერვიუსთვისაც ამიტომ ვესტუმრეთ. სიტყვამრავალი არც არასდროს ყოფილა, მაგრამ, როგორც ადრე, რასაც ამბობს, ალალად ამბობს

# ზოიძის საქმე

## ფეხბურთი, მეგობრები, ბევრი სიხარული და ტკივილი

**— მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულებამდე ითქვა, ზოიძე თავის ბოლო სეზონს ატარებსო. წასვლას მართლა აპირებდი?**

— ადრე თუ გვიან წასვლის დრო დადგება და ამ აზრსაც უკვე შევეგუე, მაგრამ უახლოეს ხანში ფეხბურთისთვის თავის დანებება არც მიფიქრია. „დინამოსთან" ორწლიანი ხელშეკრულება კიდევ მაკავშირებს და ჯერჯერობით თავსაც ნორმალურად ვგრძნობ. თუ შევატყვე, რომ ჩემი დრო წასულია, მაშინ ნამდვილად არ დავახანებ. მანამდე კი გაუგებარია, საიდან წამოვიდა ეს ხმები.

**— მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე იყო მომენტი, როცა „დინამოს" ჩემპიონობისა ბევრსაც აღარ სჯეროდა. როგორ ფიქრობთ, კონკურენტების ძლევა ასე რატომ გაგიჭირდათ?**

— რუსეთთან სანაკრებო შეხვედრამდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. იმ მოგებული თამაშიდან ნაკრების წევრი დინამოელები გადაღლილები დაბრუნდნენ, ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს და „ტორპედომაც" მოგვიგო. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, თორემ მჯერა, კონკურენტებს უფრო დიდი სხვაობით ჩამოვიტოვებდით.

**— „ტორპედოს" საბოლოოდ კი გაუსწარით, მაგრამ რიონისპირელებმა დასკვნითი ეტაპის ორივე თამაშში დაგჩაგრეს...**

— „ტორპედოს" რომ შემადგენლობა შეენარჩუნებინა, მაშინ ჩემპიონობა ძალიან გაგვიჭირდებოდა. ასათიანის, დიდავას და ქემოკლიძის წასვლის შემდეგ ქუთაისური კლუბის საჩემპიონო შანსები ორჯერ შემცირდა. უბრალოდ, პრინციპულ თამაშებში ჩვენთვის არასასურველ დროს გადავეყარეთ და მათ შანსი გამოიყენეს.

**— ყველამ ვიცით, რა დამოკიდებულებაა „დინამოს" და „ტორპედოს" ქომაგებს შორის. შენ კი ის ფეხბურთელი ხარ, ორივე გუნდის მაისურა რომ გიტარებია. ამის გამო გულშემატკივრებთან პრობლემები ხომ არ შეგქმნია?**

— არა, პირადად ჩემთან საყვედური არავის წამოსცდენია. მე ყველგან მთელი გულით ვთამაშობდი, თავი არსად დამიზოგავს და გუნდის ინტერესებისთვის არ მიღალატია. ალბათ, ამას ამჩნევდნენ და „ტორპედოდან" „დინამოში" თუ პირიქით ტრანსფერსაც ქომაგები ჩვეულებრივად აღიქვამდნენ.



**— „დინამოს" მაისურას დიდი ხანია ატარებ, ძველ და ახალ გუნდს შორის განსხვავებას რაში ხედავ?**

— სადღეისოდ კლუბს უკეთესი პირობები აქვს. „დინამო" მთლად გაჭირვებული მე არასდროს მახსოვს, მაგრამ ამჟამად მაინც სხვა ვითარებაა. მწვრთნელის ფაქტორიც არ უნდა დავივიწყოთ, ივო შუშაკმა ფეხბურთზე სხვა თვალით შეგვახედა. ახლა გუნდი სწრაფად თამაშს და აზროვნებას ცდილობს. რაც შეეხება შემსრულებლებს, კარგი ფეხბურთელები მაშინაც იყვნენ გუნდში და ახლაც არიან.

**— ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" რეალურად რისი მიღწევა ძალუძს?**

— ახლა ამაზე პასუხის გაცემა გამიძნელდება. ვნახოთ, როგორ მოვემზადებით, გავძლიერდებით თუ არა, რა დონის მოთამაშეებს შევიმატებთ და შანსებზე მერე ვილაპარაკოთ.

**— თავის დროზე უცხოურ ჩემპიონატებშიც გითამაშია. იქაურობას გაჩვეულ ფეხბურთელს კი დაბრუნება მუდამ უჭირს. საქართველოსკენ რამ მოგახედა?**

— ჩემი უცხოური კარიერა როგორც ვისურვებდი, ისე ვერ აეწყო. ისრაელში კი ვითამაშე, მაგრამ ყველაზე საჭირო მომენტში ხელის ტრავმამ სამი თვე გამაცდენინა. ლიტვაში კი ცოტა ხანი დავყავი. ქუთაისის „ტორპედოს" მაშინდელი თავკაცი, ცხონებული [illegible]ავით ყოფიანი შემეხმიანა და არანაკლები პირობები შემომთავაზა. მეც შინ დაბრუნება ვარჩიე უცხოეთში ყოფნას.

**— შენს ზურგზე არაერთ სანაკრებო მატჩს გადაუვლია. ეროვნულმა გუნდმა მიზნის მიღწევა ვერც მაშინ შეძლო და არც ახლა აქვს საქმე საიმედოდ. წარუმატებლობის მიზეზი რა იყო?**

— მაშინ ნამდვილად არ გვეგონა, თუ ევროპას ასე ჩამოვრჩებოდით. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი პირველ ნაბიჯებს დგამდა და თავიც საფეხბურთო ქვეყნის მოთამაშეებად მოგვქონდა. გამოუცდელობამაც თავისი გაიტანა, ქულები მოულოდნელად გავფანტეთ. თანაც მაშინ მეტოქეებიც ისეთები გვყავდა, რომ ვუფიქრდები, შანსიც არ გვქონდა.

ახლანდელი გუნდი კი ჩამოყალიბების პროცესშია. ძველი, ნაცადი მოთამაშეები ნელ-ნელა მიდიან, ახალგაზრდებს კი მომაგრება ჭირდებათ. თაობათა ცვლა ასე ადვილად გადასატანი როდია, თუმც მჯერა, მოვა დრო და ეს ბიჭები იტყვიან სათქმელს.

**— შენი თაობის რამდენიმე ნიჭიერი მეკარე თითქმის უსახელოდ დაიკარგა...**

— მაღალ დონეზე რომ ვერ ვითამაშეთ, ეს უპირველესად ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონის ბრალია. ჩვენ მთელი სეზონის მანძილზე რამდენიმე მატჩში თუ გვექნებოდა სერიოზული დატვირთვა, ასეთ დროს ნიჭი ვერ გიშველის და ბუნებრივია, ვერც მოუმატებ. დაძაბული შეხვედრები ახლაღა მომრავლდა, თორემ ადრე ხშირად იყო თამაშები, კარში ძილი გვერეოდა.

**— ახალი თაობის ქართველი მეკარეებიდან სანაკრებო დონეს რომელი აკმაყოფილებს?**

— გიორგი ლომაიამ უკვე განიმტკიცა რეპუტაცია, მას კიდევ ძალუძს ოსტატობის ამაღლება. ნიჭიერები არიან ზვიად სტურუა და მირზა მერლანი, გაორკეცებული შრომით ისინი მაღალ დონეს მიაღწევენ. პერსპექტიულია ზურაბ მამალაძე, რომელსაც მონაცემები არ აკლია და ახლა ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.



**— საბოლოოდ ფეხბურთმა რა მოგცა?**

— ქვეყანა მომატარა, უამრავი მეგობარი შემძინა, ბევრი სიხარული განმაცდევინა და ტკივილის გადატანა მასწავლა. თავიდან იმიტომ თამაშობ, რომ გიყვარს ფეხბურთი, მერე ამბიციები გემატება, გსურს, მეტს მიაღწიო. ბოლოს კი უბრალოდ სამუშაოა, ფეხბურთი ყოველდღიურ სამსახურად გადაიქცევა, რომელიც შემოსავლის წყარო ხდება. ფეხბურთი სადღეისოდ ჩემი ერთადერთი საქმეა.

**მამუკა კვანტალიანი**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

# ბატე ისევ ახლოა

**ახალი სეზონისთვის** სამზადისი დაიწყო ჩემპიონმა „დინამომ“. გუნდი გუშინ უშუშაკოდ შეიკრიბა — ხორვატი სპეციალისტი შვებულებაშია და მის არყოფნაში დილმის ბაზაზე სავარჯიშო პროცესს ნესტორ მუმლაძე, გელა ჭანტურია და ავთანდილ ბერიძე უძღვებოდნენ.

ფეხბურთელებმა მსუბუქად ივარჯიშეს. დილმის ბაზაზე გუშინ კარლოს და როჩა და დავით კვირკველია არ გამოჩენილან. კვირკველია ჯერაც ტრავმას იშუშებს და დღეს ან ხვალ ჩაერთვება საწვრთნელ პროცესში, კარლოსი კი გერმანულ რუიტში შეუერთდება გუნდს. რუიტშივე ჩააკითხავს შეგირდებს ივო შუშაკიც.

თბილისელები გერმანიაში 24 ივნისს მიემგზავრებიან, „დინამო“ სავარაუდოდ ოცი ფეხბურთელით გაფრინდება და ამათ შორის იქნება სამი ახალწვეულიც: ჩემპიონმა სარეზერვო გუნდიდან ექონია და იაშვილი შეიერთა, დინამოელია ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი მამუკა წერეთელიც. კლუბის მესვეურები მასთან დადებული კონტრაქტის დეტალებს ჯერ არ ახმაურებენ.

დინამოელები ხვალინდელი დღის მოლოდინში არიან. შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა შედგება, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შესარჩევ წრეში საქართველოს ჩემპიონის მეტოქეც გაირკვევა. კენჭისყრაზე შვეიცარიაში კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა გაემგზავრა.

პირველი ეტაპის კენჭისყრას „დინამო“ დამშვიდებული ხვდება. ქართველებს უთუოდ რანგით დაბალი მეტოქე შეხვდებათ.

უეფამ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების სარეიტინგო ცხრილი გამოაქვეყნა. რეგლამენტის თანახმად, თექვსმეტი მოწინავე პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, დანარჩენი 56 კლუბი კი საკვალიფიკაციო ეტაპს გაივლის. ამათგან 18 მხოლოდ მესამე შესარჩევ ეტაპზე იბრძოლებს ჯგუფში მოსახვედრად, 18-იც მეორე შესარჩევი ეტაპიდან ჩაებმება გათამაშებაში. ბოლო ოცეული კი, რომელთა შორის ჩვენი ჩემპიონიცაა, პირველი შესარჩევი ეტაპიდან შეეცდება მიზნის მიღწევას.

„დინამოს“ სავარაუდო მეტოქე ათ გუნდშია საძებარი. ბოლო ოცეულის კლასიფიკაციაში საქართველოს ჩემპიონი ჰიკ-ის, „სკონტოს“, „ომონიას“, „ბოჰემიანსისა“ და „შერიფის“ შემდეგ მეექვსე ადგილზეა დაფუძნებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერც ზემოთ ნახსენებ გუნდებს შეხვდება პირველ ეტაპზე და ვერც თავის ქვემოთ მყოფ ოთხ კლუბს.

„დინამოს“ სავარაუდო მეტოქეთა სია „ბატეთი“ იწყება და ყაზახური „ირტიშით“ მთავრდება. ამათ შორის ყველაზე არასასურველი მეტოქე მოზირული კლუბია. „ბატე“ დანარჩენებთან შედარებით უკეთესი გუნდია და თანაც ადრე ევროსარბიელზე „დინამოც“ გაუმწარებია. შარშანწინ მოზირელები თბილისელებს უეფას თასზე გადაეყარნენ.

პირველ ეტაპზე „დინამოს“ შესაძლო მეტოქეთა შორის კიდევ ერთი ნაცნობია — „გრევენმახერი“. ლუქსემბურგელებს დინამოელები შვიდი წლის წინ შეხვდნენ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. მაშინ „დინამომ“ ორივე მატჩი მოუგო მეტოქეს.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ტური 16-23 ივლისს ჩატარდება.

**პაატა ძმანტალიანი**

## პირველი შესარჩევი ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| ჰიკ | (ფინეთი) | 10,604 |
| სკონტო | (ლატვია) | 6,332 |
| ომონია | (კვიპროსი) | 5,082 |
| ბოჰემიანსი | (ირლანდია) | 3,665 |
| შერიფი | (მოლდოვა) | 2,916 |
| დინამო თბილისი | (საქართველო) | 2,833 |
| ლეოტარი | (ბოსნია) | 2,166 |
| კაუნასი | (ლიტვა) | 1,999 |
| რეიკიავიკი | (ისლანდია) | 1,749 |
| ვარდარი | (მაკედონია) | 1,749 |
| ბატე | (ბელარუსი) | 1,708 |
| სლიმა | (მალტა) | 1,499 |
| ბარი თაუნი | (უელსი) | 1,082 |
| პიუნიკი | (სომხეთი) | 1,082 |
| ტირანა | (ალბანეთი) | 0,915 |
| ფლორა | (ესტონეთი) | 0,832 |
| გლენტორანი | (ჩრდ. ირლანდია) | 0,749 |
| გრევენმახერი | (ლუქსემბურგი) | 0,666 |
| ტორსჰაგენი | (ფარერები) | 0,583 |
| ირტიში | (ყაზახეთი) | 0,250 |

## მეორე შესარჩევი ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | (შოტლანდია) | 57,187 |
| ანდერლეხტი | (ბელგია) | 49,250 |
| სლავია | (ჩეხეთი) | 48,975 |
| რუსენბორგი | (ნორვეგია) | 42,787 |
| ვისლა | (პოლონეთი) | 33,812 |
| დინამო ზაგრები | (ხორვატია) | 32,312 |
| გრაცერი | (ავსტრია) | 26,687 |
| შახტარი | (უკრაინა) | 22,291 |
| პარტიზანი | (სერბეთი) | 20,915 |
| მაკაბი თელ ავივი | (ისრაელი) | 18,999 |
| ცსკა სოფია | (ბულგარეთი) | 18,332 |
| მტკ | (უნგრეთი) | 13,395 |
| ცსკა მოსკოვი | (რუსეთი) | 12,520 |
| იურგორდენი | (შვედეთი) | 11,795 |
| რაპიდი | (რუმინეთი) | 11,478 |
| მარიბორი | (სლოვენია) | 8,666 |
| ზილინა | (სლოვაკეთი) | 6,832 |
| დანია | ჩემპიონი | |

## მესამე შესარჩევი ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| ლაციო | (იტალია) | 106,155 |
| დეპორტივო | (ესპანეთი) | 98,769 |
| სელტა | (ესპანეთი) | 86,769 |
| გალათასარაი | (თურქეთი) | 78,495 |
| დორტმუნდი | (გერმანია) | 70,566 |
| ჩელსი | (ინგლისი) | 70,170 |
| აეკ | (საბერძნეთი) | 56,391 |
| დინამო კიევი | (უკრაინა) | 55,291 |
| აიაქსი | (ჰოლანდია) | 54,749 |
| ნიუკასლი | (ინგლისი) | 51,170 |
| რეინჯერსი | (შოტლანდია) | 50,187 |
| სპარტა | (ჩეხეთი) | 49,975 |
| მარსელი | (საფრანგეთი) | 49,734 |
| ლოკომოტივი | (რუსეთი) | 49,520 |
| ბრიუგე | (ბელგია) | 44,250 |
| გრასჰოპერი | (შვეიცარია) | 33,125 |
| ბენფიკა | (პორტუგალია) | 30,791 |
| აუსტრია | (ავსტრია) | 13,687 |



შარშანწინ „დინამო“ ბატე-მ უეფას თასიდან გააგდო



ლევან კობიაშვილს (მარჯვნივ) „შალკეში“ ელიან

# ლევან კობიაშვილი ფრაიბურგში ბრუნდება

## ზღვაზე ნამკურნალებ ქართველს ჰაინკესი მალე გაიცნობს

*საქართველო – შვეიცარიის მატჩისას დაშავებული ლევან კობიაშვილი ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. 2 აპრილს მეტოქესთან შეჯახების შემდეგ ლევანმა მუხლის მყესები დაიზიანა და დღემდე მკურნალობს. თბილისიდან ფრაიბურგში დაბრუნებულს ტკივილმა ერთი-ორი დღით კი გაუარა, მაგრამ ის იყო მოედანზე გავიდა, რომ ტრავმამ თავი შეახსენა და ოც წუთშივე შესაცვლელი შეიქნა. კობიაშვილმა მეორე ბუნდესლიგის ბოლო რამდენიმე ტური ხომ გამოტოვა და ვერც ნაკრებს დაეხმარა ირლანდიაში.*

*დღესდღეობით კი ლევანი ოჯახთან ერთად საფრანგეთშია, ზღვაზე ისვენებს, თან ნატკენ ფეხს წამლობს და გელზენკირხენში გასამგზავრებლად ემზადება. ერთ კვირაში კობიაშვილი თავის ახალ გუნდ „შალკეს“ შეუერთდება, სადაც მწვრთნელად გუშინწინ დანიშნული, სახელოვანი იუპ ჰაინკესი დახვდება, თუმც გელზენკირხენამდე ლევანმა ფრაიბურგში უნდა შეიაროს...*

— დღითი დღე უკეთ ვარ. მკურნალობის კურსს უკვე ვამთავრებ და „შალკეს“ ჯანმრთელი შევუერთდები. ახლა საფრანგეთში ვარ, ზეგ კი სამი დღით ფრაიბურგში ჩავალ. ექიმი გამსინჯავს და 25-დან ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშს შევუდგები.

**— „შალკეს“ შეკრება 25 ივნისსაა დაგეგმილი თუ შენ აგვიანებ?**

— არა, გუნდი ახლა შვებულებაშია, 25-ში ვართ დაბარებულნი.

**— გელზენკირხენში იციან შენი ტრავმის ამბავი?**

— იციან, კლუბის ხელმძღვანელობასთან ყოველდღიური კავშირი მაქვს. „შალკეს“ მენეჯერმა საფრანგეთშიც მომინახულა. მკურნალობა ფრაიბურგში მაქვს დაწყებული და ახლა გელზენკირხენში ვერ გავაგრძელებ, თორემ ახალი გუნდი დახმარებას კი მთავაზობს.

**— „შალკე“ მოსამზადებელ პერიოდს ადგილზევე გაივლის, თუ უცხოეთში მიემგზავრებით?**

— არა, გელზენკირხენში დავრჩებით, 4 ივლისიდან 11-მდე კი რომელიღაც გერმანულ კურორტზეა შეკრება დაგეგმილი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი, თუ გეგმა ახალმა მწვრთნელმა არ შეცვალა.

**— ჰაინკესის დანიშვნით „შალკეში“ კმაყოფილები არიან?**

— რა თქმა უნდა, როცა კლუბთან კონტრაქტს ვაფორმებდი, ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდი, რომ ჰაინკესის მიწვევა სურდათ. ჰაინკესი „შალკესთვის“ ყველაზე სასურველი იყო და ახლა ძალიან კმაყოფილები არიან, მისი გადაბირება რომ შეძლეს.

**— მწვრთნელს პირადად ხომ არ იცნობ?**

— არა, მაგრამ მასზე ბევრი კი მსმენია. სამწვრთნელო საქმის დიდი მცოდნეა, მკაცრია და შემტევი ფეხბურთის მოყვარული. ტიტულებიც მრავლად მოუხვეჭია.

**— ჰაინკესამდე „შალკე“ მწვრთნელობას მათეუსსაც სთავაზობდა...**

— ეგ მოგონილი იყო. „შალკეს“ მხოლოდ ჰაინკესი სურდა და მიზანსაც მიაღწია.

**— ახალ გუნდში ვინმე ნაცნობი ფეხბურთელი ხომ არ გეგულება?**

— ნაცნობი და მეგობარი არავინ. შალკელებს მხოლოდ გვარ-სახელებით ვიცნობ, ოთხი სეზონი ხომ ბუნდესლიგაში ვთამაშობდი და მათ მოედანზე ხშირად შევხვედრივარ. ურთიერთობა კი ჯერ არავისთან მაქვს. მგონია, რომ კარგ, მეგობრულ გუნდში მივდივარ.

**— ირლანდია — საქართველოს მატჩი თუ ნახე?**

— ვნახე და გულდაწყვეტილი ვარ. მოგება თუ არა, ქულის წამოღება მაინც შეგვეძლო. ახლა კი, ფაქტობრივად, უშანსოდ ვართ. ჩვენთვის ეს შესარჩევი ციკლიც წარუმატებლად მთავრდება. არადა, ირლანდიაში ჩვენებს ცუდად არ უთამაშიათ. ფრე წარმოუდგენელი შედეგი სულაც არ იყო, ბიჭებს ცოტა რომ გამართლებოდათ, ირლანდია ვერ მოიგებდა.

**— ივო შუშაკის ხელმძღვანელობით ჯერ არ გითამაშია. გარედან როგორ ჩანს, რა შეიცვალა ნაკრებში?**

— გუნდმა იცის, რა სურს და რას აკეთებს. ფეხბურთელებს კონკრეტული დავალება აქვთ და ყველა თავის საქმეს ასრულებს. შუშაკის ხელში საქართველოს ნაკრებში სათამაშო დისციპლინა ამაღლდა. მთავარიც ესაა, ნელ-ნელა წარმატებაც მოვა.

**კობა ინასარიძე**





რევაზ ქემოკლიძეს და გია იმედაძეს საკუთარი მომავალი ჯერაც ვერ გაურკვევიათ

# იმედაძის საქართველო ტორპედოა

## ქემოკლიძის არჩევანი — უცხოეთი

**ჯერაც** გაურკვეველ მდგომარეობაშია თურქული სუპერლიგიდან გავარდნილი „ქოჯაელისფორი" და მისი ქართული ტრიო — გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, გია იმედაძე. ქართველი ფეხბურთელები ახალი კლუბის ძიებაში არიან, კლუბს კი მთავარი მწვრთნელის საკითხი ვერ მოუგვარებია.

„ქოჯაელისფორი" ქართველების დატოვების სურვილს ჯერაც ღიად აცხადებს, თუმც ჩვენებურები სხვაგვარად ფიქრობენ. ალბათ, ასეც უნდა იყოს. თურქეთის მეორე ლიგაში თამაში დიდავა-ქემოკლიძე-იმედაძისთვის მომხიბვლელი ნაღდად არაა.

სამივე ჩვენებური ახლა სამშობლოშია. ისინი ისვენებენ, მენეჯერები კი მუშაობენ. მართალია, ჯერჯერობით გაურკვეველია, რომელი სად გააგრძელებს კარიერას, თუმც რაღაც კონტურები ასე თუ ისე უკვე გამოიკვეთა.

— ორ-სამ დღეში მეცოდინება, სად გავაგრძელებ კარიერას. ვარიანტები საკმაოდ დამიგროვდა, მაგრამ წინასწარ მათი დასახელება არ მსურს. უკეთესი იქნება, ყველაფერი ბოლომდე გავარკვიო და მერე გავამხელ — გვითხრა გუშინ *რევაზ ქემოკლიძემ.*

აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, ქემოკლიძემ კარიერა კვლავაც „ქოჯაელისფორში" გააგრძელოს. რეზოს თქმითვე, მისით რამდენიმე თურქული კლუბია დაინტერესებული, წინადადებები სხვა ქვეყნებიდანაც მიუღია, მაგრამ მოულოდნელი არც საქართველოში დაბრუნება უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, აქა-იქ „დინამოს" სახელმაც გაიჟღერა.

დაახლოებით ამგვარ სიტუაციაშია გია იმედაძეც. ახალგაზრდა თავდამსხმელის თქმით, თვის ბოლომდე უნდა გაირკვეს მისი სამომავლო კლუბის ვინაობაც. *გია იმედაძეს* გუშინვე ტელეფონით დავუკავშირდით:

— რაღაც საუბრები არის და ამიტომ ზუსტად ჯერ ვერაფერს გეტყვით. საქართველოდან „ოლიმპის" და „ტორპედოს" ვარიანტები შემომთავაზეს. ვნახოთ, თუ უცხოური კლუბი სერიოზულად არ გამოჩნდა, მაშინ ალბათ საქართველოში დავრჩები.

**— „ოლიმპსა" და „ტორპედოს" შორის რომელს ამჯობინებ? ალბათ, შენთვის უკეთესი იქნება, ქუთაისურ კლუბთან ერთად უეფას თასზეც ითამაშო...**

— მეც მასე ვფიქრობ. „ტორპედო" ჩემთვის უცხო კლუბი არაა და თუ საქართველოში დავრჩები, მაშინ ალბათ ქუთაისში გავაგრძელებ კარიერას.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის გია იმედაძეს „ტორპედოს" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 51 მატჩი ჩაუტარებია და 14 გოლი გაუტანია. „ქოჯაელისფორამდე" კი ის ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" ღირსებას იცავდა.

**კახა ზალამბერიძე**

# ხომერიკს ვიზა უშვებს და კლუბი არ იღებს



დიდი შანსია, ლევან ხომერიკმა (მარჯვნივ) ისევ საქართველოში ითამაშოს

**ათიოდ დღეც** და ლევან ხომერიკის სამომავლო ნავსაყუდელი გაირკვევა. გასულ სეზონში შვეიცარიული B ჯგუფის ბინადარ „ვოლენის" ქართველი თავდამსხმელი ახლა თავისუფალი აგენტია, თუმც ახალი გუნდის მოძებნა მაინც ძალიან უჭირს. „ვოლენში" იჯარის წესით განათხოვრებულ ხომერიკს ყოფილ კლუბ „აარაუსთანაც" დაუმთავრდა კონტრაქტი. ჩვენებურის მსურველსაც უფასოდ შეუძლია მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ როგორც თავად ლევანმა გუშინ გვითხრა, ეს მაინც ძალიან რთული იქნება.

შვეიცარიაში სატრანსფერო ფანჯარა 20 ივნისს იხსნება, ხომერიკს კი ვიზა 2 ივლისს უმთავრდება და თუკი ახალი კლუბის ვინაობა ამ დროში ვერ გაარკვია, საქართველოში დაბრუნება მოუწევს.

— სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და ჩემი მენეჯერიც მაშინვე დაიწყებს ჩემს ტრანსფერზე მუშაობას. სიმართლე გითხრათ, საიმედოს ვერაფერს მეუბნება. თავადაც ვხვდები, რომ ჩემი შვეიცარიაში დარჩენა საეჭვოა, თუმც ჯერჯერობით ველოდები. ამ ათ დღეში, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა. მერე კი ვიზაც მიმთავრდება და მაინც საქართველოში დაბრუნება მომიწევს — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა სატელეფონო საუბრისას.

ერთი სიტყვით, ხომერიკი სავარაუდოდ საქართველოში გააგრძელებს კარიერას. მის დატოვებას „ვოლენი" კი ცდილობდა, მაგრამ ამ კლუბში არსებული ფინანსური კრიზისის გამო ჩვენებურმა უარი განაცხადა. დანარჩენი უკვე მენეჯერის მარიფათზე და ქართულ კლუბებზეა დამოკიდებული.

**კახა ზალამბერიძე**

# ახალი ამბავი ჯიქიას ქუჩიდან

## ივარდავა რკინიგზიდან, კოშკაძე ბოლნისიდან, ბალახი იტალიიდან

**კვირაზე მეტია,** თემურ ლორთქიფანიძის „ოლიმპი" საახალსეზონოდ ემზადება. ჯიქიელები დილით ხან კუს ტბაზე, ხანაც ავლაბრის სტადიონზე ფიზიკურად ემზადებიან, ხოლო საღამოობით „დერბის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობენ.

სადღეისოდ „ოლიმპში" სამი ახალი ფეხბურთელია, რომელთა საკითხიც ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ ლორთქიფანიძის მითითებით კი ემზადებიან. სამიდან ორი ყოფილი ავჭალელი გახლავთ, ალექსანდრე კოშკაძემ მეთოთხმეტე ჩემპიონატი ბოლნისურ „სიონში" ჩაამთავრა, თუმც მახარაძის გუნდში ტრავმის გამო ბევრიც არ უთამაშია. ლაშა ადუაშვილის ავანჩავანი კი „მერანის" დაშლის შემდეგ გუშინდლამდე არც შეგვიტყვია.

ჯერჯერობით „ოლიმპთან" ერთად ვარჯიშობს „ლოკომოტივის" აწ უკვე ყოფილი მეკარე მანუჩარ ივარდავა, რომელსაც რკინიგზელებთან ურთიერთობები საბოლოოდ ჯერაც არ გაურკვევია, თუმც „ლოკომოტივში" დამბრუნებელი რომ არ არის, ადრეც განუცხადებია.



კახა გოგიჩაიშვილი

ჯიქიელებთან თვალს ვერ მოჰკრავთ ვეტერან კახა გოგიჩაიშვილს. საახალსეზონოდ კახას მზადება ჯერაც არ დაუწყია, არც კლუბის თავკაცებს შეხვედრია და, არ არის გამორიცხული, ბუცები მართლაც კედელზე დაკიდოს.

23 ან 24 ივნისს თემურ ლორთქიფანიძე 22 შეგირდს თბილისიდან ქობულეთის გზას გაუყენებს და ზღვისპირეთში ათდღიან შეკრებას მოაწყობს. მეორე, უკვე უცხოური შეკრება კი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრეა დაგეგმილი. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, „ოლიმპი" მოსამზადებლად გერმანიაში წავა.

რაც შეეხება ჯიქიელთა მთავარ სარბიელს, ავლაბრის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები უკვე დაიწყო, ჯერ უშუალოდ მოედნის საფარი მოწესრიგდება. მინდორს აიღებენ, დრენაჟს შეუცვლიან და იტალიიდან გამოწერილ საფარს დააგებენ. თუ ეს ყველაფერი ჩემპიონატის განახლებამდე მოესწრო, მაშინ „ოლიმპი" საშინაო მატჩებს ახალთახალ, კომფორტულ მოედანზე ჩაატარებს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# უმაღლესში მოწყობას დიდი ფული უნდა

**უმაღლეს ლიგაში** ახალაღზევებული ოზურგეთის „მერცხალი" შვებულებაშია. მართალია, გურულებმა საპირველადგილო მატჩი ზუგდიდურ „ლაზიკასთან" 2:3 წააგეს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებს იმ დამარცხებისთვის მწვრთნელ-ფეხბურთელები მკაცრად არ განუკითხავთ. უმაღლესი ლიგის საგზურს ხომ პირველ ლიგაში მოპოვებული მეორე ადგილიც იძლეოდა.

ოზურგეთული კლუბის თავკაცები 20 ივნისს შეიკრიბებიან და საბოლოოდ მოითათბირებენ რა გაქანების გუნდის ჩამოყალიბება და რჩენა ძალუძთ. ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ „მერცხალს" გაცილებით ნაკლები ფული ეყოფა, ვიდრე მაღალი მიზნებისთვის მებრძოლს.

მანამდე კი „მერცხალის" მწვრთნელფეხბურთელებს კლუბის თავკაცებზე სასაყვედურო არაფერი ეთქმით. მათ პირნათლად შეუსრულეს დანაპირები და კუთვნილი ხელფას-პრემიებიც არ დაუგვიანეს.

„მერცხალის" თავკაცი სერგო გაბელაია ახლა თბილისშია და სასურველი ფეხბურთელების შერჩევას და გადაბირებას ცდილობს. მისი თქმით, „მერცხალი" ყველა რგოლში გასაძლიერებელია და ამისთვის 4-5 ახალი ფეხბურთელი დასჭირდება. საახალსეზონოდ მზადების დაწყებას კი გაბელაია 25 ივნისიდან გეგმავს. მეტს ველარ დავახანებთ, ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ ერთი თვე დარჩებაო.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დღეს მსაჯების დღეობაა

**დღეს** ქართველი თემიდელები მსაჯთა დღეს აღნიშნავენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის, ანატოლი მილჩენკოს წამოწყება უკვე ტრადიციად იქცა.

მსაჯები დღეს ვაკის პარკში, „ლოკომოტივის" სტადიონზე შეიკრიბებიან. 15 საათზე კი „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ფეხბურთი გაჩაღდება. სხვათა განმსჯელი თემიდელები ამჯერად თავად გაეჯიბრებიან ერთმანეთს. მოწინააღმდეგე გუნდები უკვე ცნობილია: დასავლეთი და აღმოსავლეთი.

ეს მეტოქეები ერთმანეთს პირველად არ ხვდებიან. აქვე ვთქვათ, რომ უპირატესობას დასავლელი მსაჯები ფლობენ.

მსაჯთა დღე ბანკეტით დაგვირგვინდება. ეს ერთგვარად გასული სეზონის შემაჯამებელ დღედაც შეგვიძლია მოვნათლოთ. მერე კი „ახალი ცხოვრება" იწყება. მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას ქართველი მსაჯები ტრადიციული ბორჯომული შეკრებით დაიწყებენ.




# გაზაფხული შემოსულა, ბექჰ
## გმადლობთ სერ და ნახვამდის
### რაც მოსწონს ტოშს, შეიძლება არ მოეწონოს პოშს

*დევიდ ბექემი მადრიდის „რეალშია“, რაც ძალიან, ძალიან მოსალოდნელი გახლდათ. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დატოვა „მანჩესტერ იუნაიტედი“ და გაეშურა იქ, სადაც კვირაში, მისთვის ჩვეული ინგლისური ფულით რომ ვუანგარიშოთ, 120 ათას გირვანქას გადაუხდიან, თუ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებს, 300 ათასს პრემიად დაუმატებენ, ხოლო თუ ესპანეთის ჩემპიონი გახდება, კიდევ 250 ათასს მისცემენ. ერთადერთი, რისი დათმობაც ბექემს მოუწევს, მაისურზე დაწერილი ნომერია — „რეალში“ შვიდიანი რაულისაა.*

*ჯონ ტოშაკი („ლივერპულის“ ყოფილი ცნობილი ვარსკვლავი, რომელიც ორჯერ წვრთნიდა „რეალს“): „როდესაც ადამიანს „რეალში“ გადასვლას სთავაზობენ, თუ სრულ ჭკუაზეა უარს ვერ იტყვის. რომელია მსოფლიოს უდიდესი კლუბი, რა თქმა უნდა, საკამათოა, მაგრამ „იუნაიტედიდან“ „რეალში“ წასვლა უკან გადადგმული ნაბიჯი რომ არ არის, ფაქტია. მე თუ მკითხავთ მადრიდი ბექემის თარგზე გამოყვანილი ქალაქია, მაგრამ ისიც მესმის, რომ რაც მოსწონს ტოშს, შესაძლოა არ მოსწონდეს პოშს“.*

ბოლო წინადადებაში ტოში თავად ტოშაკია, პოში კი ბექემის პოპ-ვარსკვლავი მეუღლის, ვიქტორია ადამსის სცენურ-ტელე-დისკურ-პოდიუმური ფსევდონიმი გახლავთ.




დღეს დევიდ ბექემი იაპონიაშია და იქაურ გაზეთებში მისი ფოტოები ქვეყნდება. მაგალითად, გავრცელდა ფოტო, სადაც ფეხბურთელს ხელში სათამაშო მანქანა უჭირავს, ხოლო პლაკატზე წერია: მე მიყვარს მანქანები. ტელევიზიით კი აჩვენეს კადრები, სადაც ბექემი და დალმატელი ძაღლი დალმატელივით დალაქული მანქანის კარს უტრიალებენ — შორეულ აღმოსავლეთში ვარსკვლავს ნახმარი მანქანების რეკლამირებაც ევალება, ეს ვოიაჟის ერთ-ერთი მიზანია. ამ ათდღიანი მოგზაურობით დევიდი (რომელიც აზიაში მეუღლესთან ერთად გაემგზავრა) 10 მილიონ გირვანქას იშოვნის.

*ჯონ ტოშაკი: „ესპანეთში 14 წელიწადი გავატარე და ამ დროის ყოველი წუთი მიყვარს. იქ ცუდი დროებაც გხიბლავს, ვინაიდან დილით მზის ნათელი გაღვიძებს და ადამიანისთვის მუდამ გაზაფხულია“.*

იაპონიაში ბექემს ახალ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით პირველი კომენტარების თქმა მოუხდა. მან თქვა, რომ „რეალზე“ უარის თქმა მთელი ცხოვრების მანძილზე გულში ხინჯად დარჩებოდა და ერთგვარი მობოდიშებით უძღვნა მადლობა ყველა იმ კლუბს, რომელთაც მისი თამაში მოსწონთ და მისი შეძენა სურდათ. განსაკუთრებით ბექემმა „ბარსელონა“ გამოარჩია და წარმატება უსურვა — მაგრამ, მე ჩემპიონთა ლიგაში მსურს თამაშიო. ვარსკვლავმა საუკეთესო სურვილები შეუთვალა თავის აწ უკვე ყოფილ კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელზეც განაცხადა, რომ ახალ-ახალი სიმაღლეებისკენ დიადი სულისკვეთების კაპიტანი, როი კინი გაუძღვება.

*ჯონ ტოშაკი: „ესპანელებს ბრიტანეთისგან ძალიან განსხვავებული, მე თუ მკითხავთ, უმჯობესი ცხოვრების წესი აქვთ. ამინდი ამინდად და ესპანელი 24 საათს ბრიტანელზე უკეთ ატარებს. ჩვენ, ექვსი თვის მანძილზე სიბნელეში ვდგებით, სამსახურებში მივდივართ და სიბნელეში ვბრუნდებით. მეტი რა? დილა-დილა სადმე, სახლის ახლოს ერთი კათხა ლუდი მოვწრუპოთ და ყველაფერი ისევ თავიდან გვეწყება, ესპანეთში კი შუადღემდე — სიესტის დროს ყველაფერი გაჩერებულია — და საღამოს, ცხრის ნახევრამდე მუშაობ. პაბის ნაცვლად შეგიძლია ღია კაფეებს და რესტორნებს ეწვიო, რათა მზის ჩასვლით დატკბე. მოკლედ, ჩემთვის ამ ორ ყოველდღიურობას შორის უკეთესი რომელიცაა, ნათელია“.*

ყველაზე მეტად ბექემისგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელზე, ალექს ფერგიუსონზე ითხოვდნენ რაიმეს თქმას. გასაგებია რატომაც — გუნდის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის „მანჩესტერიდან“ გაშვება სწორედ მას ბრალდება. ამბობენ, მისმა პროლეტარულმა სულმა ბექემის სელებრითობა ვერ აიტანაო.

ბექემმა არც ჟურნალისტებს გაუცრუა იმედი და არც მწვრთნელს: „საჯაროდ ვუხდი მადლობას სერ ალექს ფერგიუსონს, რომელმაც ასეთ მოთამაშედ გამზარდა. მანჩესტერში გატარებულ წლებს ყოველთვის საგანგებოდ მოვიგონებ. „იუნაიტედი“ ჩემი ოჯახის ნაწილად მიმაჩნდა და გარწმუნებთ, ამიერიდანაც ასე იქნება“.

ხმა ამოიღო აქამდე დადუმებულმა ფერგიუსონმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ბექემს 11 წლის ბიჭობიდან იცნობს, რომ მისი გაზრდა და მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბება ერთი სიამოვნება იყო, რომ ბექემი „იუნაიტედის“ წარმატებათა განუყოფელი ნაწილი გახლდათ და, რომ მას და მის ოჯახს წარმატებას უსურვებს.

*ჯონ ტოშაკი: „გარწმუნებთ, მადრიდის და მანჩესტერის შედარებაც არ შეიძლება, ოღონდ ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს ბექემი სამყაროს მეორე ბოლოში მიდიოდეს, ამ ორ ქალაქს შორის თვითმფრინავით სულ ორიოდე საათის გზაა. თან, არ მინდა დევიდი ამიერიდან უკან იყურებოდეს და წარსულს მისტიროდეს, მან „რეალში“ გადასვლა პროფესიულად უნდა მიიღოს. განა ბევრს ღირსებია პლანეტის ორ უდიდეს კლუბში თამაში?“*

საინტერესოა, რომ ბექემის „რეალში“ გადასვლა და ინგლისში საგანგებო „ცხელი ტელეფონის“ ამოქმედება ერთი იყო. შეგვიძლია ნომერიც მოვიტანოთ, თუმცა ჩვენთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, საინტერესო თავად ფაქტია. თუ ვინმეს იმედი გაუცრუვდა და განმუხტვა, გულის გადაშლა, ემოციისგან დაცლა სჭირდება, ამ ტელეფონზე დარეკავს და, პლუს, თუ ამ ვინმეს იმედი [illegible] არ აქვს, რომ ხანგრძლივი საუბრის საფასური გადაიხადოს, შეუძლია დარეკოს და თავისი ნომერი უთხრას — დაუკავშირდებიან.

ბარემ აქვე მოვიტანოთ იქაურ მოქალაქეთა რამდენიმე გამონათქვამი:

— ეს ტრაგედიაა. საუკეთესო ფეხბურთელი წაგვივიდა.

— საშინელებაა. თავზარდაცემული ვარ. ბექემი გუნდში ერთადერთი მიმზიდველი ფიგურა იყო. გუნდი სამაგლად მოექცა, მე კი იღბალს ვუსურვებ.

— მთელი „იუნაიტედი“ ბექემი იყო, თავს დებდა. ის გულში წარმოუდგენლად წითელია.

თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავმჯდომარემ, პიტერ კინიონმაც ბრძანა, რომ ბექემის წასვლა ნაღვლიანი ამბავია, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ საკუთრივ ტრანსფერის შედეგი წარმატებული გამოდგება და კლუბი ახალი წარმატებების გზას დაადგება.

თავაზიანობა არც ვარსკვლავის საქმეთა საგენტოს დააკლდა. მან განაცხადა, რომ სატრანსფერო ოპერაციის დროს „მანჩესტერ იუნაიტედი“ უკიდურესად პატიოსნად იქცეოდა.

*ჯონ ტოშაკი: „ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ ვერ უნდა შეეწყოს ბექემი „რეალს“. განსაკუთრებული არაფერი ელის, იმდენს მოუხდავად, გუნდში გამორჩეული კაცი და ერთადერთი იმედი ვერ იქნება, იქ ბევრი დიდი ვარსკვლავი დახვდება, ხოლო თამაშის განსხვავებული სტილი ოსტატობის ამაღლების საშუალებას მისცემს. თან ვიცი, ის ვარჯიშზე მუხლჩაუხრელად, რაც „რეალის“ ქომაგებს ძალიან მოეწონებათ. ცხადია, დასაწყისში განსაკუთრებულის მოლოდინი ექნებათ, თუმცა ესპანური პრესა მისდამი ინტერესს მხოლოდ ფეხბურთთან და მოედანთან დაკავშირებით გამოიჩენს, ასე რომ, შოუ-ბიზნესის საქმეებში ხელს არავინ შეუშლის. რაც შეეხება წვრთნას, აქ მას მანჩესტერისგან განსხვავებით ათასობით ადამიანი ესწრება, არიან ჟურნალისტები, მოაქვთ კამერები და მიდიან ისე, რომ ვერ იგარჯიშო, იმ დღესვე გამოაცხადებენ. „რეალის“ მწვრთნელი ბედნიერია თუ კვირაში ერთხელ მაინც დაიმარტოხელა ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, ახლა მთავარია ესპანური ისწავლოს“.*

**პაპუნა ძედია**



დევიდ ბექემს და მის პოპ-მეუღლეს ტოკიოში ასე დახვდნენ







# ფიგუ ან სოლარი

## მორატის პორტუგალიელი უნდა, კუპერს არგენტინელი

**დევიდ ბექჰემის** „რეალში" გადასვლამ მადრიდულ კლუბში არსებული ისედაც სასტიკი კონკურენცია უსასტიკესად აქცია, რამაც ბარე ორ კლუბს აფიქრებინა, „რეალი" ზედმეტი ფეხბურთელების გაყიდვას დაიწყებსო და რიგში ჩადგნენ.

ასე მაგალითად, მილანის „ინტერს" „რეალიდან" ლუიშ ფიგუს ან სანტიაგო სოლარის გადაბირება სურს. შეგახსენებთ, რომ სოლარის „ინტერში" გადასვლაზე ადრეც იყო ლაპარაკი, როცა „რეალმა" მილანელებს რონალდო წაჰგვარა და ხურდაში არგენტინელი ფეხბურთელი შესთავაზა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ იტალიელებმა სოლარის მეტისმეტად მცირე ხელფასი შესთავაზეს, გააბრაზეს და არგენტინელმაც „რეალის" ბოსებს სთხოვა, „ინტერში" ნუ გამიშვებთო. „რეალი" დაყაბულდა და რონალდოს საფასურს მთლიანად ფულით გადახდას დათანხმდა.

ახლა კი ასეა: „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ფიგუს გადაბირების მომხრეა, მაშინ, როცა მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს სოლარი ამოუჩრია გულში. ორივეს თავისი არგუმენტები აქვთ. პრეზიდენტი „ინტერ" — „მილანის" დერბიში ფიგუ-რუი კოშტას მცირე დერბის მოლოდინში იფშვნეტს ხელებს, მწვრთნელს კი უფრო პრაქტიკული არგუმენტი აქვს — სოლარი ჩემეულ სისტემას უკეთ მოერგება, თან ფიგუზე ახალგაზრდააო.

სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, ფიგუთი „მილანიც" არის დაინტერესებულიო, მაგრამ ადრიანო გალიანიმ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა განმარტა: ფიგუს ყიდვის სურვილი 1997 წლის მერე არ გაგვჩენიაო. კიდევ ვთქვათ, რომ „ინტერში" ეგებ კრისტიან კივუმ ამოჰყოს თავი. მოგეხსენებათ, „აიაქსის" რუმინელი კაპიტნით „ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატი ხაიმე ლაურადო იყო დაინტერესებული და წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწია, მაგრამ ლაურადო პრეზიდენტი ვერ გახდა, წინასწარმა შეთანხმებამ ძალა დაკარგა. ფიგუს აგენტმა კი დაადასტურა, ჰოდა ჩემს კლიენტს „ინტერი" ეჩალიჩება და ათ მილიონ გირვანქას თუ გადაიხდიან, რატომაც არ გადავაო.

**ქოთე ქექელია**

# მიეცით სტამს ჯიბის ფული



დარჩება თუ არა იაპ სტამი „ლაციოში"? აი, კითხვა, რომელზე პასუხიც ამ მომენტისთვის არ არსებობს. რომაელთა პრეზიდენტის შეთავაზებამ, ხელფასები უნდა დაგაკლოთ და ვალების ნაწილი კლუბის აქციებით გაგისტუმროთო, ცხადია, არავინ მოხიბლა, მაგრამ ფეხბურთელთა უმრავლესობა დაყაბულდა. იაპ სტამმა კი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიიდო, დაატრიალა და, თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართო.

„მესმის, რომ „ლაციოს" უჭირს და გამოსავალს ეძებს, მაგრამ მათი შემოთავაზება უბრალოდ სასაცილოა. რას მირჩევენ, რომ მაღაზიაში შევიდე, ოჯახისთვის პროდუქტები შევიძინო და მოლარეს აქციებით გავუსწორდე? — იკითხა სტამმა.

ამბობენ, ჰოლანდიელის ყიდვა „იუვენტუსს" და „მილანს" სურთო.

„არც კი ვიცი, რა და როგორ იქნება — თქვა სტამმა — ერთი მხრივ, „ლაციოს" შეურაცხმყოფელ პირობებზე არ დავთანხმდები და ახალ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ. მაგრამ, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სხვაგან წავალ. მიმდინარე კონტრაქტი ორი წლის მერე მიმთავრდება და თუ ძველი პირობებით დამტოვებენ, ხმას არ ამოვიღებ. თუ არ აწყობთ, კი ბატონო, გამიშვან. ერთი სიტყვით, ამ მომენტისთვის სრულ გაურკვევლობაში ვიმყოფები".

**ქოთე ქექელია**

# მაკარონე გემრიელი ლუკმაა



იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი მასიმო მაკარონე, ვინაც ერთი წლის წინ „ემპოლის" ინგლისურმა „მიდლსბრომ" წაჰგვარა, მომდევნო სეზონში ალბათ იტალიაში დაბრუნდება, ოღონდ სერია B-ს „პალერმოში".

23 წლის მაკარონე „მიდლსბროში" თავიდან კარგად ათამაშდა, მაგრამ თანდათანობით მისი ვარსკვლავბიჭობა ჩაქრა. „პალერმო" კი პიპო მანიეროს გაყიდვას აპირებს და მაკარონე მის შემცვლელად ეგულება. ამასთანავე, სიცილიელებმა „ემპოლის" ყოფილი მწვრთნელი სილვიო ბალდინიც გადაიბირეს და იმედი აქვთ, ბალდინი და მაკარონე „პალერმოს" სერია A-ში ალაზევებენო.

თუმცა „პალერმოს" ეგებ ხელიც მოეცაროს, რაკი მაკარონესთვის „რომასაც" დაუდგამს თვალი და არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ფეხბურთელმა საეჭვოა, რომაულ ცდუნებას გაუძლოს.

ამასობაში კი მაკარონეს ძმაკაცმა და ძველმა თანაგუნდელმა ანტონიო დი ნატალემ „ემპოლისთან" 2007 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი, თუმცაღა უფრო სახელიანი კლუბებიც ეპატიჟებოდნენ.

„ბევრი წინადადება უარვყავი — თქვა დი ნატალემ — და არც ვნანობ. ჩემი გული „ემპოლის" ეკუთვნის და ბედნიერი ვარ, კვლავაც აქ რომ ვრჩები".





# წელგამართული მანჩინი მუტუს წაეპოტინა

მთელი სეზონი იმაზე გვიხდებოდა ლაპარაკი, რომ „ლაციოს" უჭირს, ყელამდე ვალებშია ჩაფლული, ხელფასებს ვერ ისტუმრებს და ფეხბურთელებს ყიდის. ამის პარალელურად კი აღვნიშნავდით, რომ „ლაციო" ძალიან კარგად თამაშობს და საბოლოოდ ჩემპიონთა ლიგაშიც ამოჰყო თავი.

კარგი თამაში, უპირველესად რობერტო მანჩინის სახელს უკავშირდება. ის სერია A-ში პირველი მწვრთნელია, ვინაც იმავდროულად კლუბის დირექტორატის წევრიცაა. კლუბის ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევა კი ახალი პრეზიდენტის, უგო ლონგოს მოსაგვარებელი საქმეა, რასაც, შევნიშნოთ, ჯერჯერობით წარმატებითართმევს თავს.

პირველ ეტაპზე ლონგომ ფეხბურთელების კონტრაქტები გადასინჯა და ხელფასების საყოველთაო შემცირებას მიაღწია. ამასთანავე ხელფასის ნაწილს კლუბის აქციებით გადაიხდის და ყველაფერი ეს „ლაციოს" გვარიან შეღავათს მისცემს.

გარდა ამისა, ლონგო ბანკებსაც გაურიგდა, საიდანაც 73 მილიონ გირვანქას მიიღებს, რაც ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე წელგამართულად გასვლის საშუალებას მისცემს.

მოგეხსენებათ, ერთი წლის წინ ფინანსური კრიზისის გამო რომაელებმა ალესანდრო ნესტა და ერნან კრესპო გაყიდეს. ვარაუდობდნენ, რომ ვალების დასაფარად „ლაციოს" ბერნარდო კორადისთანაც მოუწევს განშორებაო, მაგრამ ახალ რეალობაში კლუბს ამ ფეხბურთელის შენარჩუნების იმედი გაუჩნდა. კორადის აგენტმა მორენო როჯიმ ამის თაობაზე თქვა: „ბერნარდო „ლაციოში" თავს მშვენივრად გრძნობს და წასვლის სურვილი არ აქვს. იგივე აზრზე არიან კლუბის ხელმძღვანელებიც და პირადად რობერტო მანჩინიც".

აგენტმა სხვა საინტერესო ამბავიც გაამხილა. კერძოდ, მანჩინის კორადისთვის, უთქვამს ადრიან მუტუს ყიდვას ვაპირებთ და შენ და მუტუ ბრწყინვალე შემტევ წყვილს შექმნითო.

რუმინელი მუტუ ახლა „პარმაში" თამაშობს, „ლაციოს" კი ის კლაუდიო ლოპესის შემცვლელად სჭირდება, რომელიც „ვალენსიაში" ბრუნდება.

მაგრამ სურვილი ერთია და შესრულება, მეორე. „პარმას" პრეზიდენტმა სტეფანო ტანციმ განაცხადა, მუტუს ფასი 20 მილიონი გირვანქაა, კაპიკი არ მოაკლდება და ჩემი პირობა თუ არ აწყობთ, არც დამელაპარაკონო. ტანცი მხოლოდ იმაზეა თანახმა, მუტუს ღირებულების ნაწილად „ლაციოს" ბრაზილიელი მცველი სეზარი წაიყვანოს.

მანჩინის პოზიცია კი ასეთია: მუტუს ფასი 7 მილიონი გირვანქააო. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ვაჭრობა მიდის.

**გიორგი დარჯანია**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,

აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

*ბრაზილიელი რონალდინიო დევიდ ბექემის დიდი სატრანსფერო რიარიის ჩამთავრების შემდეგ მსოფლიოს სპორტული მედიის საყვარელი თემა-ობიექტია. გადავა ბრაზილიელი ოქროს ბიჭუნა მუდამ ვარსკვლავთმშიერ მადრიდის „რეალში", „ბარსელონაში" თუ სხვა რომელიმე ევროპულ გრანდში – საკითხავი აი, ეს არის. ამ რთული ამოცანის ამოხსნას ესპანური „მარკაც" შეეცადა, რა თქმა უნდა, რონალდინიოსთან ერთად.*

# შესანიშნავი საზიზღარი



**— თქვენ მხოლოდ 23 წლის ხართ. როგორ შეძელით ამ ასაკში საფეხბურთო მსოფლიოს ასე მოხიბვლა?**

— ალბათ იმით, რომ ვარ ბრაზილიელი, ვთამაშობ კარგ ფეხბურთს და იმ მობურთალთა რიცხვს მივეკუთვნები, ვინც მუდამ ყურადღებას იპყრობს.

**— რონალდინიოს თამაშის მანერაზე ვთქვათ. თქვენ ყოველთვის ამტკიცებდით, რომ მოედანზე ხალხის გულის გასახარად და გასართობად ბურთაობთ.**

— ბედნიერი ვარ, რადგან იმ საქმეს ვაკეთებ, რაც სულით და გულით მიყვარს — ფეხბურთს ვთამაშობ. ამიტომაც მინდა, ჩემი სიყვარულით, ანუ ჩემი ფეხბურთით, სტადიონზე შეკრებილი ყოველი გულშემატკივარი იყოს აღტაცებული. ეს არის და ეს.

**— თქვენ „ნაიკის" სახე ხართ მსოფლიოში. სარეკლამო კლიპებში მუდამ მომღიმარე სახით კენწლავთ ბურთს. მხიარული და თავისუფალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.**

— იმას, რასაც რეკლამებში ხედავთ, არაფერია უცხო და მსახიობური — ზუსტად იგივე ვარ ცხოვრებაშიც. ჩემი ხასიათი მოედანზე გადამაქვს, რაც ფეხბურთთან საერთო ენის გამონახვაში მეხმარება.

**— როგორც მაყურებელი, რომელ გუნდს თვლით უფრო მიმზიდველად?**

— ბევრია ასეთი. მყავს ფავორიტები ინგლისში, ბრაზილიაში, ესპანეთში... უპირველეს ყოვლისა, იმ გუნდების თამაშს ვადევნებ თვალყურს, სადაც ჩემი მეგობრები გამოდიან. მიყვარს მათი თამაშის ტელევიზიით ყურება და შემდეგ მათთან ერთად მატჩის პერიპეტიების გარკვევა.

**— რომელი ფეხბურთელი მოგწონთ? გეკითხებით არა როგორც პროფესიონალს, არამედ როგორც უბრალო მაყურებელს.**

— ასეთიც ძალიან ბევრია, თუმცა რონალდოსა და ზიდანს განსაკუთრებულ პატივს ვცემ, დიდებული ბიჭები არიან. სხვა მრავალიც შემიძლია დაგიხასიათოთ, ისეთები, რომელთა საფეხბურთო სახელი აგრერიგად განთქმული არ არის, მაგრამ თავიანთი თვისებებით ყოველთვის შეიძლება აღტაცებაში მოიყვანონ ადამიანი.

**— თქვენმა სავარაუდო ტრანსფერმა მადრიდის „რეალში" აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სამეფო გუნდის შეტევაში ზიდანი, რაული, ფიგუ და რონალდო მონაწილეობენ. ნუთუ იქ რონალდინიოს ადგილიცაა დარჩენილი?**

— ერთ რალაცას გეტყვით: სადაც ადაპტირება-შეჩვევისთვის დრო მყოფნის, არც ერთ საფეხბურთო პოზიციაზე თამაში არ მიჭირს. მარჯვენა განაპირა თავდამსხმელიც ვიყავი, მარცხენაც და მინდვრის ცენტრიც არ არის ჩემთვის უცხო. ამპლუასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ გამაჩნია, ჩემთვის მთავარი ფეხბურთით ტკბობაა.

**— ექსტრემალურ შემთხვევებში მეკარის ადგილსაც ხომ არ დაიკავებდით?**

— გოლების გატანაში ხელს თუ არ შემიშლიდა, უდიდესი სიამოვნებით.

**— ყოველთვის აღიარებდით, რომ რონალდო თქვენი კერპი იყო.**

— და არა მარტო ჩემი, ის ნებისმიერი ახალგაზრდა ბრაზილიელი მოთამაშის კერპია.

**— თუ პარალელურად განვიხილავთ თქვენს ტრანსფერებს, გარკვეულ მსგავსებასაც აღმოვაჩენთ. ბრაზილიის შემდეგ ორივემ ევროპულ, თუმცა არცთუ ისე დიდ კლუბებს — „პსვ ეინდჰოვენს" და „პარი სენ ჟერმენს" მიაშურეთ. შემდეგ, კატალონიურ-იტალიური მოგზაურობების დასასრულს, რონალდო „რეალს" „დასჯერდა". თქვენთვის რომელი კლუბი იქნება კარიერის მომდევნო საფეხური, ესპანური თუ არაესპანური?**

— მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ სერიოზულად ვესწრაფვი ევროპის რომელიმე გრანდში თამაშს.

**— რამდენიმე ხნის წინ ჩვენთან ინტერვიუში პსჟ დაახასიათეთ, როგორც ხიდი თქვენსა და ესპანეთს შორის, დღესაც ასე ფიქრობთ?**

— მე ძლიერ მიზიდავს ესპანეთი, ისევე როგორც ყველას. ნათელია, თქვენს შეკითხვაზე დადებით პასუხს გაგცემთ.

**— მეგობრებიც ესპანეთში უფრო მეტი გყავთ, ვიდრე საფრანგეთში?**

— დიახ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

**— ბექემზე რას იტყვით?**

— ძალიან მომწონს, როგორც ფეხბურთელი. კარგია, დევიდის ტრანსფერი რომ გაირკვა, მის ირგვლივ უდიდესი ინტრიგის არეალი იყო შექმნილი.

**— ერთხელ საკუთარ თავს „შესანიშნავი საზიზღარი" უწოდეთ...**

— მე ვარ შესანიშნავი საზიზღარი, რომელიც საბოლოოდ ყველას სიმპათიურად ეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, გუნდში ნებისმიერ დროს გამოვირჩევი.

**— ასეც არის, მაგრამ ამ ამბავში ბექემს ვერ შეედრებით. იგი სრულყოფილი ჩანს, წარმოსადეგია, მუდამ კარგი ვარცხნილობით...**

— ყველა კაცს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისება აქვს.

**— ისევ სამომავლო ესპანურ გეგმებს დავუბრუნდეთ.**

— ბევრი არაფერი მაქვს ამაზე სალაპარაკო.

**— იმას მაინც ვერ იტყვით, ამ ქვეყნის რომელ გუნდში თამაში გსურს?**

— პსჟ არცთუ დაბალი დონისაა, თუმცა ყველანაირად ვეცდები, კარიერა უკეთეს კლუბში გავაგრძელო.

# ლაპორტას ახალი განაცხადი

## ანრი, რონალდინიო... ბეგირისტაინი



ტიერი ანრი

**კატალონიური** „ბარსელონას" ახალარჩეული პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ოდენ ფეთქებადი საპნის ბუშტი გამოდგა და ლაპორტასთვის „ბარსაში" უმაღლესი თანამდებობის მომტანი დევიდ ბექემი ფლორენტინო პერესის „რეალმა" კარგა ხნით დაიგულა თავის „სამეფო გვარდიაში".

ამ საქმეს აღარაფერი ეშველება და ახალგაზრდა პრეზიდენტმა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას მიჰყო ხელი. აი, მაგალითად: ლაპორტამ კლუბის ტექნიკურ დირექტორად იოჰან კრუიფის 90-იანი წლების „ოცნების გუნდის" მოთამაშე ჩიკი ბეგირისტაინი დანიშნა. ბეგირისტაინს მრავალი ჯაფა რომ დაადგება, ცხადია — „ბარსას" მწვრთნელიც რადომირ ანტიჩის, ფეხბურთელების — კოკუს, ფრანკ დე ბურის, პატრიკ კლუივერტის, გაისკა მენდიეტას, ხუან პაბლო სორინის საკონტრაქტო დეტალები დახვეწას მოითხოვს, რაც ფრიად დელიკატური საქმეა.

ჩიკიმ კარიერა „სოსიედადში" დაიწყო, თამაშობდა „ბარსელონასა" და „დეპორტივოში", ხოლო საფეხბურთო სიჭარმაგის ჟამს იაპონურ ჯეილიგაშიც სცადა ბედი. ამჟამად ბეგირისტაინი ახალი პრეზიდენტის სხვა დიდ ჩინოვნიკთან, სანდრო როსელისთან ერთად კატალონიურ გრანდში ახალი ვარსკვლავების მიზიდვით იქნება დაკავებული.

საფეხბურთო მნათობთაგან „ბარსას" ხელმძღვანელობა განსაკუთრებით რონალდინიოს გამოჭერას ცდილობს, რომელიც ახლა საკუთარ ნაკრებს საფრანგეთში კონფედერაციის თასის მონადირებაში ეხმარება. ლაპორტას აზრით, რონალდინიო „ბარსელონასთვის" სწორედაც რომ აუცილებელი ფეხბურთელია, თუმც ამ უკანასკნელზე „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალიც" ნადირობენ და მის დღევანდელ პსჟ-საც არ სურს მსოფლიოს ჩემპიონის აგრერიგად დაკარგვა. კატალონიაში იციან, რომ რონალდინიო პარიზულ გუნდში დარჩენის პერსპექტივას არცთუ ისე კარგი თვალით უყურებს და ფრიადი მონდომებით შეეცდებიან, ხუან ლაპორტას მთავარ დანაპირებთაგან ეს მაინც აღსრულდეს.

პირინეელთა სამიზნე წლევანდელი პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშე, ფრანგი ტიერი ანრიცაა. ანრის „არსენალთან" კონტრაქტის განახლებაზე ჯერჯერობით არ უზრუნია და ამით „ბარსას" ოცნებებს ფრთებს ასხამს. ფრანგი ფეხბურთელის და ლონდონელ „მეთოფეთა" ურთიერთთანამშრომლობა არსენ ვენგერის ამ კლუბში დარჩენა-არდარჩენაზეც დიდად იქნება დამოკიდებული. ანრი სწორედ ვენგერმა „გამოიხსნა" ტურინის „იუვენტუსიდან" და უფერული იტალიური კარიერა პრემიერლიგური ჯილდოებით გაუმდიდრა. ანრიმ წლეულს 37 მატჩში 24 გოლი გაიტანა და თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფება, რაც მნიშვნელოვანწილად „არსენალის" ჭკვიანი დამრიგებლის დამსახურებაცაა. კატალონიელები პირველად არ ინტერესდებიან ფრანგი მეგოლით. ჯერ კიდევ ნუნიესის პრეზიდენტობის ჟამს მიაპყრეს სატრანსფერო მზერა, მაგრამ რახან მეტისმეტად ყრმა იყო, მისივე თანაგუნდელი (მონაკოელი) სონი ანდერსონი არჩიეს.



ხუან ლაპორტამ ტექნიკურ დირექტორად ოდინდელი ბარსელონელი, ჩიკი ბეგირისტაინი დანიშნა



პირინეელთა ჰოლანდიელი რაიციგერი კი „მანჩესტერ სიტისა" და კევინ კიგანის სასურველ-სანატრელი მოთამაშე გამხდარა. ალბიონელთა გუნდის გენერალური მენეჯერი, ალისტერ მაკინტოში ხალისით მიესალმება გიორგი ქინქლაძის ყოფილ გუნდში ბარსელონელი მცველის შესაძლო გამოჩენას, თუმც „სიტის" ფინანსური სიტუაციით შეფიქრიანებულს გადაუწყვეტია, კატალონიელებს უფრო ფეხბურთელთა გაცვლა-გამოცვლა შესთავაზოს, ვიდრე გირვანქა-ევროები. გასულ ზამთარს კიგანმა უკვე მიიწვია რაიციგერი მანჩესტერული კლუბის რამდენიმედღიან ექსკურსიაზე, მაგრამ ჰოლანდიელმა მაშინ ინგლისურ შეთავაზებაზე თავაზიანი უარი განაცხადა.

ხუან ლაპორტას კი სატრანსფერო-სახლაფორთო საქმეებთან ერთად 70 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს. შეგახსენებთ, „კამპ ნოუზე" მადრიდის „რეალის" სტუმრობისას ამ მშვენიერი სტადიონის მკვიდრმა ფანობამ დიდი არეულობა მოაწყო და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც განარისხა. ერთი სიტყვით, „ბარსა" (როგორც ყოველთვის) საფეხბურთო (თუ არასაფეხბურთო) მღელვარე ცხოვრების რიტმის შერბილებას არამც და არამც არ აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# აგენტი 00 1000

## მილიონები ზვიგენის ხახაში

## არაჩვეულებრივი ვაჭრობა ფეხბურთელებით

*ბალღობაში მხოლოდ ერთი აგენტი ვიცოდი — ჯეიმს ბონდი. ახლა საფეხბურთო აგენტები, როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე მომრავლდნენ და ხანდახან ისეთი საქმეებს ჩარხავენ, ხელს ბონდიც კი მოაწერდა. თუნდაც სულ ცხელ-ცხელი ამბავი ვთქვათ — ბექემი „ბარსელონაში“ მიჰყავდათ და „რეალში“ ჩაიყვანეს. ევროპაში ფეხბურთელთა აგენტებს, „ზვიგენები“ შეარქვეს. მათ შეუძლიათ, ერთ გუნდს უცბად მოთამაშე დასცინცლონ, მეორეს ფული. მერე ფურცელი, ბეჭედი, ხელის მოწერა და მუქთა მილიონები ჯიბეშია.*




ჯონ ჰოლმსის მოხერხებულობა ჯეიმს ბონდსაც შეშურდებოდა

**აგენტების** საქმიანობა რვა წლის წინ გააოფიციალურეს. მას შემდეგ ყოველწლიურად მათი რიცხვი არითმეტიკული პროგრესიით იზრდება — ლეგალიზებიდან დღემდე 20-ჯერ იმატეს, იტალიაში და არგენტინაში 54, ესპანეთში 91, ინგლისში კი — 179 ლიცენზირებული აგენტი საქმიანობს.

შარშან ბრიტანეთის სატრანსფერო ბაზარზე საერთო ჯამში 340 მილიონი გირვანქის გარიგება მოხდა, ყოველ კვირაში კი 25-მდე ფეხბურთელი გადადიოდა გუნდიდან გუნდში. ამ გარიგებების თავ-ბოლოში, რა თქმა უნდა, „ზვიგენები“ იყვნენ. სააგენტოები ზღაპრულად გამდიდრდნენ და მათი ბიუჯეტი კლუბების ბიუჯეტებსაც კი აღემატება.

ერთ-ერთმა იტალიელმა „ზვიგენმა“ ფეხბურთელებით ვაჭრობაში ბლომად ფული იშოვა. ცხოველები ჰყვარებია და საკუთრად ზოოპარკიც კი შეუძენია.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მავანი ჩინოვნიკი გაცოფებულია: „ისინი აბსოლუტურად უნიჭონი არიან და დიდძალ ფულს კი იხვეჭენ. ჩვეულებრივ ლანჩზე შეიძლება მილიონი ევრო არაფრისგან მოჭრან“.

სერ ბობი რობსონმა მათ პარაზიტები უწოდა, გრემ ტეილორი კი აი, როგორ გაბრაზებულა: „ისინი უნდა ჩაამწკრივო და გაროზგო“.

„აგენტი? — თქვა ერთი ბუნდესლიგური გუნდის მენეჯერმა — ის ხომ მოუშორებელი კიბოა! მათ მხოლოდ ფული მიაქვთ და ფეხბურთი სულაც ფეხებზე ჰკიდიათ. ფეხბურთელები დიდი და ენაგრძელი ბიჭები არიან. შუამავლები არ უნდა სჭირდებოდეთ და საქმეები თავადვე რომ მოაგვარონ, უკეთესი იქნება“.

ჯონ ჰოლმსი ერთ-ერთი ჭიპმოჭრილი ინგლისელი „ზვიგენია“. თავის დროზე ჟურნალისტობდა, მაგრამ იყნოსა, რომ ფეხბურთელის აგენტობა გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანდა.

მისი პირველი კლიენტი პიტერ შილტონი იყო. შემდეგ გარი ლინეკერიც შეიკედლა და ცნობილი მეგოლის სპორტულ და სატელევიზიო კარიერაში აქტიურად მონაწილეობდა.

„კვირაში 7 დღე, დღე-ღამეში კი 24 საათი სამუშაო განწყობა მაქვს — თქვა ჰოლმსმა — თავადვე ხარ ბუღალტერიც, ადვოკატიც, ტურისტული აგენტიც და ქორწინების საკითხების მრჩეველიც. საბოლოოდ ფეხბურთელის ძიძობაც გვიწევს“.

ამჟამად ჯონ ჰოლმსი სააგენტო „ეს-ეფ-ექს სპორტს გრუფის“ აღმასრულებელი დირექტორია. მისი კომპანიის კლიენტები თვით დევიდ ბექემი, მაიკლ ოუენი, სტივენ ჯერარდი და ალან შირერი არიან. მართლაც შესაშური ნუსხაა და კონკურენტებს აგიჟებს.

„დღეს ჩვენ ამრეზით გვიყურებენ — განაცხადა მისტერ ჰოლმსმა — იმიტომ, რომ კლუბებს ვაიძულებთ, ფეხბურთელებს შეძლებისდაგვარად მეტი ჯამაგირი დაუნიშნონ“.

ერთი შეხედვით, კლუბებსა და აგენტებს შორის მთლად შეხმატკბილებული ურთიერთობები არ უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში, ისინი კულისებს მიღმა ერთმანეთს ეხუტებიან.

„გუნდის მწვრთნელები აგენტებს საჯაროდ კი ლანძღავენ, თუმც ბევრი მათგანი სწორედ აგენტებთანაა შეკრული და ფულს შოულობს“ — ჩააჭიკჭიკა სამხრეთ ამერიკის მთავარმა „ზვიგენმა“ გუსტავო მასკარდიმ.

მასკარდი არ ტყუის. მაგალითად, ევროპაში ზოგიერთი მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ფარულად, სააგენტო კანტორის აქციონერია და ფეხბურთელების სარფიანად ყიდვა-გაყიდვითაა დაინტერესებული, რადგან კანტორის გამდიდრება მის ჯიბეზეც სასიკეთოდ აისახება.

„მე არ დავუშვებ, რომ ჩემი გუნდის თავკაცი იმ სააგენტოს აქციონერი იყოს, რომელთანაც კლუბი თანამშრომლობს — ეს რაინერ კალმუნდის აზრია — საოცარია, ეს ხომ პირდაპირი მატერიალური დაინტერესებაა, განა ასეთ დროს ფეხბურთზე ვინმე იფიქრებს?“.

გუნდების მწვრთნელებისა და „ზვიგენების“ ძმაკაცობის ამბავი მავანმა ფრანგმა კალმოსანმა შეამჩნია და დაახეთქა: „მწვრთნელი ფეხბურთელს კონკრეტულ აგენტთან ისე ლამაზად მიიყვანს და კონტრაქტზე ხელსაც ისე მოაწერინებს, როგორც ამ საქმეში გამოცდილი კაცი“.

ყოფილა შემთხვევა, როცა სახელოვანი სპეციალისტი აგენტისგან ქრთამის აღებაში ამხილეს. შვიდი წლის წინ „არსენალის“ თავკაც ჯორჯ გრემს ნორვეგიელმა „ზვიგენმა“ 500 ათასი დოლარი შესთავაზა იმისთვის, რომ მისი ორი კლიენტი გუნდში აეყვანა. „არსენალის“ დამრიგებელი გაბაწრეს და ფეხბურთს ერთი წლით ჩამოაშორეს: „მე განტევების კაცი მნახეს, თორემ ჩემს გარდა ქრთამი არავის აუღია? მადლობა მითხრან, რომ მათ სანაცვლოდ მხოლოდ მე დავისაჯე“ — დაიწუწუნა ჯორჯ გრემმა.

„ქრთამი? — ჩვეულებრივი ამბავია — თქვა ინკოგნიტო ბრიტანელმა აგენტმა — მწვრთნელთა უმეტესობას ქრთამის შეთავაზება არც სჭირდება, თვითონ ითხოვენ. ამჟამად პრემიერლიგაში მხოლოდ ხუთი „სუფთა“ კაცი ვიცი, რომლებსაც ხელი არ გაუსვრიათ. მე ვიცნობ მწვრთნელს, რომელმაც აღებული ფულით თვალისმომჭრელი აგარაკი შეიძინა, თანხა კი ერთბაშად გადაიხადა“.

ინკოგნიტომ უფრო საინტერესო ამბავიც გაიხსენა: „ერთხელ პრემიერლიგის გუნდის მწვრთნელმა კლიენტი (ფეხბურთელი) უჩუმრად გამიყიდა იმიტომ, რომ ჩემმა კონკურენტმა აგენტმა მწვრთნელი მასთან თანამშრომლობისთვის ქრთამით მოხიბლა.

ამით წახალისებულმა გუნდის თავკაცმა მეგობარი აგენტი ფეხბურთელის მშობლებთან ფულით გატენილი ჩანთით გააგზავნა და ისინი ჩემთან კონტრაქტის გაწყვეტაზე დაითანხმა.

ორიოდ წლის შემდეგ ვარ-მწვრთნელს ასეთი ამბავი შეემთხვა: ბიჭერი მოთამაშე იაფად შეიძინა და მის ძმაკაც აგენტს გააცნო იმ პირობით, რომ მოგვიანებით სარფიანად გაჰყიდდნენ და მოგებას გაიყოფდნენ.

ფეხბურთელმა იყნოსა ეს ხაფანგი, მიხვდა, რომ მას ნივთივით უყურებდნენ და სხვა „ზვიგენთან“ გააფორმა კონტრაქტი. განრისხებულმა მწვრთნელმა იგი მალევე ტრანსფერზე დააყენა, არადა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში“.

აი, კიდევ ერთი, ამჯერად იტალიური ისტორია.

სერია A-ს გუნდის თავკაცმა მავანი უცხოელი მოთამაშის სანაცვლოდ ზღვა ფული გადაიხადა, არადა, იგი ძველი კლუბისგან თავისუფალი იყო და შეეძლო მუქთად წაეყვანა. ფეხბურთელმა და მისმა აგენტმა ხრიკს მიმართეს — ძველ კლუბთან ხანმოკლე ახალი კონტრაქტი გააფორმეს. მიზანი ნათელია: მყიდველს მოთამაშე მუქთად აღარ ერგება და იძულებულია გადაიხადოს. მიღებული თანხა ოთხზე „გატყდა“: პრეზიდენტი, მწვრთნელი, აგენტი და ფეხბურთელი. ეს იტალიელი აგენტის მონაყოლი ამბავია.

როცა მწვრთნელი და კლუბის მეპატრონე ფულს აგენტისგან იღებენ, ეს უკანონობად ითვლება, მაგრამ პირიქით პროცესი სავსებით ლეგალურია. ოფიციალური მონაცემებით, 100-დან 95 შემთხვევაში აგენტს ფეხბურთელი კი არა, მყიდველი კლუბი უხდის გასამრჯელოს საქმის გაჩარხვისთვის. „ჩემი მომსახურეობის საფასურს გუნდის ბოსები მიხდიან — თქვა მავანმა ესპანელმა „ზვიგენმა“ — ფეხბურთელისგან გროშიც არ ამიღია და, მგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს“.

აგენტი კლუბისგან სატრანსფერო თანხის დაახლოებით 3-5 პროცენტს იღებს. მაგალითად, 5 მილიონად ნაყიდი ფეხბურთელის საქმე დაახლოებით 150 ათასი ღირს.

ახლა მასიმო მორატის მოვუსმინოთ: „ზვიგენთა უმეტესობა ჰონორარის ოდენობის დადგენას მოლაპარაკების დაწყებამდე ითხოვს. მახსოვს, ერთხელ თავხედი ვინმე მოვიდა და მითხრა, წინასწარ 150 ათას დოლარს თუ მომართმევთ, საქმეს ახლავე შევუდგებიო“.

ვინ უნდა გადაუხადოს აგენტს, კლუბმა თუ ფეხბურთელმა? — „ოსასუნას“ მწვრთნელს მიაჩნია, რომ მეორემ: „შუამავალს ჰონორარი ფეხბურთელისგან ეკუთვნის. სანამ კლუბებიდან აგენტების ჯიბეში ფულის უწყვეტი დინება არ შეჩერდება, ამ საქმეს არაფერი ეშველება“.

„ლაციოს“ გამკოტრებელი სერჯიო კრანიოტი: „რეალობა ასეთია: კლუბი ნებისმიერ ვარიანტში შუამავალს ფულს უხდის. საამისოდ რამდენიმე ხერხი არსებობს. აგენტი ფულს ან პირდაპირ პრეზიდენტისგან იღებს, ან მოთამაშისგან, რომელიც თანხას ასევე პრეზიდენტს სთხოვს“.

„მაინც რატომ ემორჩილებიან კლუბები აგენტებს? განა არ შეიძლება მათი დახმარების გარეშე მოილაპარაკონ, ასე ხომ უფრო მეტ ფულს დაზოგავენ“? — მხრები აიჩეჩა გრემ ტეილორმა. მის კითხვას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკმა დაუსწრებლად უპასუხა: „იმიტომ, რომ დაინტერესებული მხარეები საკუთარ ჯიბეებზე ზრუნავენ და ივსებენ კიდეც, თან ფეხბურთელის დათრევა შუამავლის მეშვეობით ბევრად იოლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოთამაშეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. აგენტი ცხრაპირ ტყავს გაიძრობს და მაინც გამოჩხრეკს რამეს“.

ზოგადად ცნობილია, რომ აგენტთა სამსახურით მხოლოდ ფეხბურთელები სარგებლობენ, მაგრამ ბოლო ხანს ამ მხრივ კლუბებიც გააქტიურდნენ. ისინი „ზვიგენებს“ ფეხბურთელის ბედს ბოლომდე ანდობენ.

„საფეხბურთო სამყაროში იმდენი ცნობილი სახელი ტრიალებს, რომ კლუბები ერთმანეთთან ღია კავშირს ერიდებიან და აგენტებს ქირაობენ — თქვა მავანმა ესპანელმა „ვაჭარმა“ — ამას წინათ პრიმერადივიზიონური ერთი კლუბი დაგვიკავშირდა და გვკითხა, მოთამაშის ისე გაყიდვა თუ შეგვიძლიათ, რომ თავად ვერაფერი შეიტყოსო“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ბობი რობსონი



გრემ ტეილორი



აგენტისგან ცდუნებული ჯორჯ გრემი

# ორი ამბავი სიყვარულებზე







## სვენი და ნენსი ულრიკას გარეშე

აბა, სად, ტედი შერინგემის მკერდსავსე და ქორფა საყვარელი და სად სვენ გორან ერიკსონის ასევე მკერდსავსე, მაგრამ ასაკშეპარული ძველისძველი საყვარელი ნენსი დელორიო. თანაც ტედის გოგოსგან განსხვავებით 44 წლის იტალიელ ბანოვანს არაფერიც არ უჩანს.

ერიკსონი და ნენსიც იტალიის პლაჟებზე ეფიცხებიან მზეს, ოღონდ სარდინიიდან ცოტა ჩრდილოეთით და სულაც არ ანაღვლებთ წინა საყვარლის, ტელევარსკვლავ ულრიკა სვენსონის ინტერვიუში მონათხრობი, ერიკსონს გეიშად ვყავდიო.



## ტედი და უცნობი ნიკოლის გარეშე



რაგინდარა თავგადაკლული ფანი იყოთ, შეზლონგზე პირდაღმა დამხობილი ტედი შერინგემის ნაცვლად თვალი თავადაც იცით, საითაც გაგეპარებათ, დავაზუსტოთ: გაგეპარებათ კი არა, უკვე გაგეპარათ და ვაღიაროთ, რომ დასაძრახი ამაში არაფერია. რომ არ გაგპარვოდათ, ვინძლო, ექიმთან წასასვლელი იქნებოდით.

ფოტო სარდინიიდანაა, რომლის პლაჟზეც 37 წლის ლვაწლმოსილი ფეხბურთელი კუთვნილ და სავსებით დამსახურებულ შვებულებას ატარებს.

მეორე ფოტოზე კი თედი შერინგემს საკუთარი სახლის აბაზანაში მონებივრეს ხედავთ, ეს ძველი ფოტოა.

საინტერესო კი ის გახლავთ (თვალი რისკენაც გაგეპარათ იმის გარდა), რომ პლაჟზე და აბაზანაში ტედი შერინგემი სხვადასხვა ქალთანაა. აბაზანაში მის გვერდით კანონიერი მეუღლე ნიკოლი ჩამომჯდარა, მზიან სარდინიაზე კი ვინმე უცნობ გოგონასთან ერთად ერთობა და თუ როგორ ერთობა, მესამე ფოტოდანაც ჩანს.

## მიატოვიჩი მიამიტი არაა

### ნაკრებიდან წასული ყატარში მიდის

ფეხბურთელისთვის სანაკრებო კარიერის დასრულება მაშინ არის საამო, როცა გამარჯვებულია ბოლო ჯილდოს მაგიდაზე რომ დაასვენებს, ბუცებს — კედელზე თავს კი ბალიშზე. იდეალური ვარიანტია, მაგრამ ხშირად ასე არ ხდება.



პრედრაგ მიატოვიჩი

„ევროპის მომავალ ჩემპიონატზე თამაში მსურს და ფეხბურთიდან ლაღად წავალ" — პრედრაგ მიატოვიჩმა ორიოდ თვის წინ წაიოცნება.

სამწუხაროდ, სრულიად სერბეთ-ჩერნოგორიის ოცნება ჯერ ჰელსინკში ფინეთმა, მერე კი ბაქოში აზერბაიჯანმა კასპიის ზღვის ნავთობიან ფსკერზე დაძირა.

აზერბაიჯანთან მარცხი პრედრაგ მიატოვიჩმა „კატასტროფად" მონათლა და ნაკრებში თამაში დავასრულეო, თქვა „ბაქოში მატჩის შემდეგვე გადავწყვიტე, რომ ეროვნულ გუნდში აღარ ვითამაშებ. მოგვიანებით დავფიქრდი და მივხვდი — არ შევმცდარვარ. მთავარი მწვრთნელის, დეიან სავიჩევიჩის წასვლამ მეც იგივე ნაბიჯისკენ მიბიძგა. ევრო 2004-ის საგზურს დავემშვიდობეთ. ნამდვილი კრახი განვიცადეთ და ადგილი ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ".

ნაკრების კაპიტანყოფილმა განაგრძო: „ჯანი ჯერ მომდევს, თამაში კიდევ შემიძლია, მაგრამ უკვე 34 წლის ვარ და მგონი, ჩემი დრო გაფრინდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კი გრძელდება. მაგრამ ნაკრები ალბათ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ გზას აქედანვე დაადგება. ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები. გული მწყდება, რომ ლურჯ მაისურას აღარასოდეს მოვირგებ".

პრედრაგ მიატოვიჩს 73 სანაკრებო მატჩში 28 გოლი დაუგროვდა. 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატებზე უთამაშია. დეიან სავიჩევიჩთან და დრაგან სტოიკოვიჩთან ერთად კი 1987-ში იუგოსლავიის შემადგენლობაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოუგია.

ჩერნოგორიაში დაბადებულმა ფეხბურთელმა კარიერა პოდგორიცის „ბუდუჩნოსტში" დაიწყო, საიდანაც ბელგრადის „პარტიზანში" გადავიდა.

1993-წელს ესპანეთს მიაშურა და სამი სეზონი „ვალენსიაში" გაატარა. იქიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდა. 1998 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის „რეალმა" „იუვენტუსს" მისი გოლით სძლია.

მიატოვიჩმა მადრიდიდან გეზი ფლორენციისკენ აიღო და „ფიორენტინას" იისფერი მაისურა მოირგო. მალე „ფიორენტინა" ვალებში ჩაეფლო, ჩერნოგორიელი ესპანეთში დაბრუნდა და სეგუნდადივიზიონის „ლევანტეში" მოეწყო. მისი ვაჟი მძიმე სენითაა დაავადებული და ვალენსიაში მკურნალობს. ფეხბურთელმაც ვალენსიასთან ახლო მდებარე „ლევანტე" არჩია.

ამ სეზონის ბოლოს, კონტრაქტისგან გათავისუფლდა. ლევანტელები პრიმერადივიზიონში ვერ აღზევდნენ და მიატოვიჩის დატოვება აღარ ისურვეს.

რას აპირებს ახლა? მასაც, ისევე როგორც ბევრ სხვას, ყატარიდან ხელი დაუქნიეს, ჩვენთან წამოდიო. „ორი წელიწადი კიდევ ვიბურთავებ — თქვა ჩერნოგორიელმა — ყატარიდან დამიკავშირდნენ და საკმაოდ მაცდური პირობები შემომთავაზეს. ფიქრისთვის ბევრი დრო არ მაქვს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას, ალბათ, არ შევცდები".

**გაგა ხუციშვილი**

## ვომეს ესპანიოლი ეპიტნავა

სატრანსფერო სეზონი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა და ბარსელონურმა „ესპონიოლმა" უკვე მესამე ფეხბურთელი გადაიბირა. მეკარე ერვინ ლემენსს და ნახევარმცველ ტაიფუნ ქორბუთს კატალონიელებმა კამერუნელი მცველი პიერ ვომეც შემატეს.

აქამდე ვომე ლონდონის „ფულემში" თამაშობდა, კონტრაქტი დაუმთავრდა და კატალონიელებს მუქთად ჩაუვარდათ ხელში. „ესპანიოლში" ვომე ორი სეზონით დარჩება.

ფეხბურთელის აგენტმა პაბლო ტეიბერამ თქვა, ჩემი კლიენტი „ესპანიოლში" გადასვლით ფრიად კმაყოფილია და „შტუტგარტის" შეთავაზებაც კი უარყოო. მოგეხსენებათ, „შტუტგარტი" მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ვომეს კი უთქვამს, გერმანული ფეხბურთი არ მეპიტნავება, ფულიც არ მადარდებს და ამიტომ გული საითაც მიწევს, იქ წავალო.

პიერ ვომე სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია, „ფულემამდე" კი იტალიურ კლუბებში, „ბოლონიაში", „რომასა" და „ვიჩენცაში" თამაშობდა.

**გიორგი დარჯანია**



# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 001 | რაიო-უელვა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 24.00 | 002 | რასინგი-ოსასუნა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 003 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.00 | 004 | მალიორკა-მალაგა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.00 | 005 | სევილია-ვალენსია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 006 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 007 | ალავესი-ვალიადოლიდი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 24.00 | 008 | ბარსელონა-სელტა | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| 24.00 | 009 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 24.00 | 010 | რეალი-ბილბაო | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| | | **რუსეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 044 | შინიკი-კრილია | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 19.00 | 045 | სპარტაკი-სატურნი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 046 | რუბინი-როსტსელმაში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 047 | როტორი-ლოკომოტივი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| | | **ფინეთი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 081 | ჰიკ-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 082 | ჰიკ-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.30 | 083 | მიუპა-კუოპიო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 084 | მიუპა-კუოპიო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 085 | ჰაამეენლინა-ინტერი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **II მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 04.10 | 111 | ამერიკა-ბოკა ხუნიორსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 114 | თურქეთი-აშშ | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 24.00 | 115 | ბრაზილია-კამერუნი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 603 | ბარსელონა-ვალენსია | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 607 | ლუისი-ვ.კლიჩკო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |

### ინტერტოტოს თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 088 | ბანგორი(უელსი)-გლორია(რუმინეთი) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 20.00 | 089 | ოფკ(სერბეთი)-ტრანსი(ესტონეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 090 | შახტიორი(ბელარუსი)-ომაგი(ჩრდ.ირლ.) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 091 | ბრნო(ჩეხეთი)-კოტაიკი(სომხეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 092 | დინაბურგი(ლატვია)-ვილი(შვეიცარია) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 093 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-ოლიმპიაკოსი(კვიპროსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 094 | დაჩია(მოლდოვა)-გოტუ(ფარერები) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 095 | პარტიზანი(ალბანეთი)-მაკაბი(ნეტანია/ისრაელი) | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 097 | სლობოდა(ბოსნია)-აკურეირი(ისლანდია) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 098 | ეტო(უნგრეთი)-ეთნიკოსი(კვიპროსი) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 099 | ოდრა(პოლონეთი)-შემროკი(ირლანდია) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 100 | ენკამპი(ანდორა)-ლიერსი(ბელგია) | 14,0 | 6,0 | 1,15 | 4,19 | 1,06 | 1 |
| 19.00 | 101 | ეკრანასი(ლიტვა)-იორგრიტე(შვედეთი) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 102 | კოპერი(სლოვენია)-ზაგრები(ხორვატია) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 103 | სუტიესკა(სერბეთი)-უნიონი(ლუქსემბურგი) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| 20.30 | 104 | ალიანსი(ფინეთი)-ჰიბერნიანსი(მალტა) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 105 | პაშინგი(ავსტრია)-ვიტ ჯორჯია(საქართველო) | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.00 | 106 | სპარტაკი(სლოვაკეთი)-პობედა(მაკედონია) | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 107 | ვიდეოტონი(უნგრეთი)-მარეკი(ბულგარეთი) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 108 | პოლონია(პოლონეთი)-ტობოლი(ყაზახეთი) | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 22.00 | 109 | ტამპერე(ფინეთი)-ჩახლაული(რუმინეთი) | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


### რამდენი გოლი გავა მატჩში, (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2203 | თურქეთი-აშშ | 1.8 | 1,8 |
| 24.00 | 2204 | ბრაზილია-კამერუნი | 1,95 | 1,65 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2303 | თურქეთი-აშშ | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2304 | ბრაზილია-კამერუნი | 1,8 | 1,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | | | | | | | | |
| 22.00 | 2103 | თურქეთი-აშშ | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 24.00 | 2104 | ბრაზილია-კამერუნი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2403 | თურქეთი-აშშ | 1,65 | 2,3 |
| 24.00 | 2404 | ბრაზილია-კამერუნი | 1,25 | 3,6 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | | |
| 22.00 | 2503 | თურქეთი-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2504 | ბრაზილია-კამერუნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 2003 | თურქეთი-აშშ | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 24.00 | 2004 | ბრაზილია-კამერუნი | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ᵃ კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |





მანუჩარ მარკოიშვილმა (№13 და მეორე ფოტოზე მარცხნივ) სკუდეტო პირველივე სეზონში დააგემოვნა

# გამარჯვებული ყველა ქართველია

## შამპანური, რესტორანი, ცალკე ჩასხდომა და რამე...

როგორც იქნა, სკუდეტო ჩავიხუტე — გვითხრა იტალიის ჩემპიონმა მანუჩარ მარკოიშვილმა გუშინ, როცა მისალოცად ტრევიზოში შევეხმიანეთ. გუშინწინ, გვიან ღამით, ბოლონიაში თითქმის იგივე სცენა გათამაშდა, რაც ზუსტად ერთი წლის წინ. ტრევიზოს „ბენეტონმა" სერია A-ს ფინალური სერიის მე-4 მატჩში სტუმრად დაამარცხა ბოლონიის „სკიპერი" და იტალიის ჩემპიონი გახდა. შარშანდლის მსგავსად, ბოლონიაში გუშინწინაც იყო შამპანური, სამახსოვრო ფოტოები, ნაყოჩაღართა ჰაერში ბურთაობა და... ბოლონიელთა გულგასახეთქად ბენეტონელთა მიერ ზეაღმართული „მელიის თასი". თუ რატომ „მელიის", მარკოიშვილი ამაზეც გვესაუბრა...

— ფინალურ სერიას 2:1 ვიგებდით, მოედნის უპირატესობაც გვქონდა და თითქოს შეგუებულნი უნდა ვყოფილიყავით ჩემპიონობას, მაგრამ როცა ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდა, პატარა ბავშვებივით გავიხარეთ. იმ სიხარულს, საფინალო სასტვენის შემდეგ რომ განვიცადე და, მგონი, ახლაც არ გამნელებია, სიტყვებით ვერ აგიწერ. ძალიან მძაფრი შეგრძნება იყო, არასდროს რომ არ განმიცდია.

**— ეს მატჩი რომ ვერ მოგეგოთ, შინ, ტრევიზოში გელოდათ გადამწყვეტი შეხვედრა და გამარჯვების დიდი შანსიც გქონდათ. ამას თითქოს უნდა გაენელებინა თქვენი ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ...**

— მწვრთნელ ეტორე მესინას სწორედ ეს აფიქრებდა. გასახურებლად მოედანზე რომ გავედით, გვითხრა, ბიჭებო, საქმეს ნუ გადადებთ, ნაღდად შეგიძლიათ ამ მატჩის მოგება და ძალიან გთხოვთ, არაფერი დაიშუროთ. მეხუთე მატჩის იმედზე ნუ იქნებით, ჩემპიონები აქვე, ბოლონიაში უნდა გავხდეთო. გეცოდინება, ბენეტონელებმა ნიკა ცქიტიშვილთან ერთად შარშანაც ბოლონიაში მოიპოვეს იტალიის ჩემპიონობა.

**— ჰოდა, ამის გამო ბოლონიელები ალბათ ვეღარ იტანენ ბენეტონელებს...**

— ეს ძველი ამბავია. წინა მატჩისას არ იყო, წაგებული „სკიპერის" გულშემატკივრებმა ტრევიზო რომ აიკლეს... ჩხუბის ატეხვა ახლაც უნდოდათ, მაგრამ ბოლონიაში კარგად იციან მათი გულშემატკივრების ამბავი და პოლიციაც მობილიზებული იყო. მატჩის შემდეგ ბოლონიელმა ფანებმა ჩვენს ქომაგებზე გაიწიეს, ჩვენამდეც უნდოდათ მოსვლა, მაგრამ ვინ აცალა, იმ წუთსვე „მოარჯულეს" კარაბინერებმა.

**— თავად მატჩი დაძაბული იყო?**

— ძალიან. უმეტესად მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენებმა იყოჩაღეს და დრამატულ ფინალში ვიმარჯვეთ. ბოლო წუთებზე ტაიუს იდნიმ და რიკარდო ბულერიმ ივაჟკაცეს, ისე კი, მთელმა „ბენეტონმა" ძალიან ძლიერი დაცვა ითამაშა.

**— საჩემპიონო მატჩში შენც დაიდე წილი, 6 წუთში 4 ქულა ურიგო შედეგი არაა...**

— უკეთესი იყო, მეტი მეთამაშა, მაგრამ მესინამ არ ჩათვალა საჭიროდ. მოედანზე მეორე მეოთხედის დასაწყისში შევედი და ტაიმის ბოლომდე ვითამაშე. ერთიდან ერთი სამქულიანი და ორიდან ერთი საჯარიმო ჩავაგდე, თუმც სხვა რამეში არ გამიმართლა. არ გამიმართლა კი არა, მსაჯებმა ამითვალწუნეს, ერთხელ სულ ტყუილად დამაჯარიმეს შეტევაში და ერთხელაც უაზრო გარბენი დამიფიქსირეს. მესინამ შეატყო, რომ მსაჯები არ გამახარებდნენ, ალბათ მცირე ასაკის გამო, და მოედნიდან გამიყვანა. მერე კი გადამწყვეტი მომენტში რომ აღარ მათამაშა, არც გამკვირვებია.

**— ალბათ ბოლონიაშივე დაგაჯილდოვეს... რა ხდებოდა მატჩის შემდეგ?**

— რა თქმა უნდა, თასი ბოლონიაში გადმოგვცეს. დასრულდა მატჩი და ტრადიციული რიტუალის ჯერიც დადგა — ჩვენი გულშემატკივრებისთვის მადლობის გადახდა, ბადის მოჭრა, მწვრთნელის, კაპიტნის ჰაერში ბურთაობა, ყველაფერს დაახლოებით ნახევარი საათი მოვანდომეთ, მერე კი, გასახდელში შესვლამდე, სკუდეტო გადმოგვცეს.

**— იმ თასზე ამბობ, მელა რომ ახატია?**

— ჰო, ამ თასს „მელიის თასი" ჰქვია. ეს მელია დაახლოებით ისეთ როლს თამაშობს იტალიურ კალათბურთში, როგორსაც ვეფხვი ქართულ კალათბურთში. ჩვენი ფედერაციის ემბლემაზე ხომ ვეფხვია გამოხატული, უბრალოდ, იტალიაში საქართველოზე მეტ ყურადღებას აქცევენ სიმბოლოებს და სადაც არ უნდა გაიხედო, ეს მელიაა წამოსკუპებული — ბურთებზე, მოედნებზე, დროშებსა და, რა თქმა უნდა, თასზე.

**— მერე, მელია შამპანურში არ აბანავეთ?**

— როგორ არა, იმდენი ვასხით, ალბათ გამოთვრებოდა...

**— და ალბათ არც კალათბურთელები დარჩებოდით ფხიზლები...**

— არც ჩვენ დავიკელით. გასახდელში ხომ ვსვით შამპანური, მერე ტრევიზოს რესტორნებში გავაგრძელეთ. ტრევიზოში რომ ჩამოვედით, ღამის პირველი საათი იყო და „ბენეტონის" ბაზაზე 3000 ადამიანი დაგვხვდა. აი, იქ იყო ზეიმი, თუ იყო. სიმღერები თითოეულ ბენეტონელზე, მაშხალები, ჰიმნები და რა ვიცი, კიდევ რა.

**— შარშან, „ბენეტონი" რომ ჩემპიონი გახდა, ცქიტიშვილმაც თითქმის იგივე სცენები აღწერა. ჰოდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამის მერე ტრევიზოელი ქომაგები მხრებზე შეგისვამდნენ და „ბენეტონის" კუთვნილ რესტორანში შეგიყვანდნენ, სადაც დიდი ქეიფი, საჩემპიონო ბანკეტი გაიმართებოდა...**

— ზუსტად ეგრე მოხდა ყველაფერი, რესტორანში შეგვიყვანეს და მთავარი სუფრაც იქ გაიშალა, სადაც „ბენეტონის" სადიდებელი სადღეგრძელოები შევსვით. მერე გუნდელებმა მოვილაპარაკეთ და ორიოდ საათში, ნელ-ნელა გამოვიპარეთ იმ უზარმაზარი წვეულებიდან, ჩვენს ფორვარდ რიკარდო პიტისს აქვს მყუდრო რესტორანი და იქ წავედით.

**— მთელი სეზონი რაც რეჟიმში იყავი, ერთ ღამეში იჯერე თავისუფლებით გული. დილამდე დადიოდით რესტორან-რესტორან?**

— თითქმის დილამდე. მთლად თავზე არ დაგვთენებია, მაგრამ შინ რიჟრაჟზე მივედი.

**— ახლა რას აპირებ? ორშაბათს ჩვენი ეროვნული გუნდი იკრიბება...**

— როგორც ნაკრებიდან შემომითვალეს, 15 ივლისისთვის უნდა ვიყო თბილისში. ჯერჯერობით არ ვჩქარობ ჩამოსვლას, ტრევიზოზე კარგ დასასვენებელ ადგილს სად ვნახავ. მალე აქ ჩემი და ჩამოვა, ივლისის დასაწყისში კი ერთად წამოვალთ საქართველოში.

**ირაკლი პერტაია**

# დენვერს ქუდში ყველა ვარსკვლავი ჩაუგდეს

**ნბა-ს** ხმაურიანი ოჯახის მამა-მარჩენალ დევიდ შტერნის მთავარი საზრუნავი ამ თითქმის ყველაფრისგან დამოუკიდებელი საკალათბურთო ასოციაციის კეთილდღეობაა. კეთილდღეობა ნბა-ელთა გაგებით მხოლოდ მატერიალური დოვლათი კი არა — ფული არც ერთ კლუბს არ აკლია — არამედ ძალა და სახელია. ჰოდა, ამ საზომით შტერნს სად უნდა ეპოვა „დენვერ ნაგიტსზე" გაჭირვებული გუნდი და გამოაცხადა, 2005 წლის „ოლ სტარი" დენვერში გაიმართებაო.

შტერნის აზრით, ეს გრანდიოზული ღონისძიება, უფრო სწორად კი ამ ღონისძიების „პეპსი სენთერში" მოწყობის გადაწყვეტილება ბიძგს მისცემს დენვერელებს, რათა დათქმული დროისთვის საშუალო გუნდის იმიჯი მაინც შეიქმნან და მათ ქალაქში ჩამოსულ ვარსკვლავებს თავაწეულები დახვდნენ.

„ნაგიტსის" პრეზიდენტ კიკი ვანდევეჯსაც ეიმედება, რომ „ოლ სტარის" დენვერში გამართვა ხელს შეუწყობს მისი გუნდის აღორძინებას: „ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დაგვეკისრა. ყველაფერს ვიღონებთ, რომ „ოლ სტარსაც" ღირსეულად ვუმასპინძლოთ და თან ჩვენი გუნდიც წელგამართული შეხვდეს ამ სანახაობას."

არადა, „დენვერი" ბოლო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია. მისი მშენებლობა კარგა ხანია, მიმდინარეობს, მაგრამ ჯერაც ვერ აშენებულა. ბოლო 13 სეზონიდან 11 „დენვერმა" წაგებ-მოგებების უარყოფითი ბალანსით დაასრულა.

ამ კლუბის მიმართ ჩვენი ყურადღება ერთიორად დიდია, დენვერელთა მომავლის გუნდის ერთ-ერთ მთავარ წევრად ხომ ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილიც მოიაზრება. „დენვერში" თამაშობს კიდევ ერთი ყოჩაღი ახალგაზრდა ნენე ილარიო და ერთსაც კარსმომდგარი დრაფტიდან ელიან. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „დენვერი" დრაფზე მესამე ნომრად კარმელო ენტონის აიყვანს და ვინძლო „მომავლის გუნდიდან" რომელიმეს 2005 წლის დენვერულ „ოლ სტარში" თამაშმაც მოუწიოს.

თუ ისევე ყოჩაღად გააგრძელა თამაში, როგორც სტუდენტურ ლიგაში, ამის ყველაზე კარგი შანსი სწორედ კარმელო ენტონის აქვს. მასში დაბუდებული ნიჭის დოზის ნაწილი უკვე რეალიზებულია, ენტონი სტუდენტური ლიგის ჩემპიონ სირაკუზის ლიდერი გახლდათ. უკვე ცნობილ კარმელოს სპორტული ეკიპირებს ბობოლები ეხვევიან, მრავალმილიონიან კონტრაქტებსაც სთავაზობენ. „რიბოკს" და „ადიდასს" „ნაიკმა" აჯობა და ენტონის 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „ძალიან გვიხარია, რომ კარმელო ენტონი „ნაიკის" დიდი ოჯახის წევრი გახდა" — ამბობს ფირმის წარმომადგენელი სკოტ რეიმსი.

ამის საპასუხოდ „რიბოკმა" 75-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა მეორე ამომავალ ვარსკვლავს, სავარაუდოდ დრაფტის პირველ რჩეულს ლებრონ ჯეიმს, მაგრამ თინეიჯერი გენიოსი „ნაიკისთან" ომში ვერ ჩაითრია. ლებრონმა უარი თქვა „რიბოკის" 75 მილიონზე და მანაც „ნაიკთან" დაიჭირა საქმე, არც მეტ არც ნაკლებ 90 მილიონ დოლარად.

**ირაკლი პერტაია**



კარმელო ენტონი ნბა-ს დასაპყრობად ემზადება

# ნაცვლიშვილს პორტუგალია ხელიდან გაუვარდა



ვახტანგ ნაცვლიშვილს მეორე პორტუგალიურ ფინალშიც მოეცარა ხელი

**ვახტანგ ნაცვლიშვილმა** ვერა და ვერ აიხდინა ოცნება — რამეთუ მერამდენე სეზონს ატარებს საზღვარგარეთ და ჩემპიონი ჯერაც ვერ გამხდარა.

შარშანდლის მსგავსად, ნაცვლიშვილს ახლაც პორტუგალიაში მოეცარა ხელი და კვლავაც ბოლო მომენტში — მისი „ოლივეირენშე" ფინალში დამარცხდა. მეტოქეც შარშანდელი ჰყავდა — ლისაბონის „ტელეკომი". განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უიმედოდ წაგებული შარშანდელი ფინალური სერიის შემდეგ ოლივეირენშელებმა წლეულს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს ტელეკომელებს და ჩემპიონობამდეც სულ ცოტა დააკლდათ.

სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ქართველი ფორვარდის შემწეობით ოლივეირენშელებმა საქმე ისე შეატრიალეს, რომ ანგარიშიც გათანაბრდა და მეხუთე, გადამწყვეტ მატჩსაც თავად მასპინძლობდნენ. არ გაუმართლათ. ნაცვლიშვილის ყოჩაღი გარჯის მიუხედავად, რომელიც ბოლო 2 მატჩის დარად, ფინალური სერიის გადამწყვეტი შეხვედრის ბომბარდირიც გახდა, ოლივეირენშელებმა ვერაფერი დააკლეს მოქმედ ჩემპიონებს და დაძაბულ ბრძოლაში, 76:79 წააგეს.

მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე მყოფმა და 26 ქულის მომხვეჭმა ნაცვლიშვილმა ტოლი არავისრში დაუდო და აჯობა კიდეც ტელეკომელ ლეროი უატკინსს, მაგრამ მატჩში საუკეთესოდ მაინც ეს უკანასკნელი დაასახელეს, ალბათ ჩემპიონობის გამო.



მარტინ ვერკერკი დიდი უდარდელი კაცი ჩანს

# ვერ ყოფილა ვერკერკი კაი ბიჭი
## თავი ქუდში, დანარჩენი ფეხებზე

**ORDINA OPEN**
**დენ ბოსხი. ბალახი**
**კაცები**
**საპრიზო 380 ათასი ევრო**

**პირველი წრე**

**ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) — მარტინ ვერკერკი (4, ჰოლანდია) 3:6, 6:4, 7:6 (13:11); ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:1, 6:3; სებასტიან გროჟანი (5, საფრანგეთი) — ფილიპ პეცშნერი (გერმანია) 6:2, 5:7, 6:3; არნო კლემანი (7, საფრანგეთი) — ფრედ ჰემესი (ჰოლანდია) 6:2, 6:3; იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — ხოსე აკასუსო (8, არგენტინა) 6:3, 6:2; ოლივიე მუტი (საფრანგეთი) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:4); ფრანტიშეკ ჩერმაკი (ჩეხეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, კიფერმა შეწყვიტა.**

ორდინაოუფენური პირველი მიმოხილვის ორივე მთავარგმირი კაცი ჰოლანდიელია და ჰოლანდიელ ქომაგთა სავალალოდ, იმ დღეს ორივემ წააგო. ოყლაყმა მარტინ ვერკერკმა, ვინაც საჩოგბურთო მილეთში თავი იმით დაიმკვიდრა, რომ როლანგაროსობის ფინალამდე იომა, მსოფლიოს 88-ე მეჩოგნე ლარს ბიურგსმიულერთან დათმო, უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონ რიხარდ კრაიჩეკს კი მტკივანი იდაყვი და ფრანგი მუტი მოერივნენ.

24 წლის ვერკერკისთვის ეს პირველი საბალახსაფრო მატჩი გახლდათ. ჰო, არ გაგიკვირდეთ — ვერკერკი ამხელა ჯორად მოყრილა და ბალახზე აქამდე ერთი ქეციანი გეიმიც არ ეთამაშა.

არადა, მისი ზორბა აღნაგობისა და მურტალი ჯანის პატრონისთვის ბალახი სწორედაც რომ ზედმოთიბული საფარია — აგლიჯე და იყავი!

პირველი სეტი ვერკერკმა მართლაც ისე ითამაშა, თითქოს კოინდარზე ჭიპი ჰქონდეს მოჭრილი ანაც წინა დაცვეთილი. გერმანელი მის ყუმბარისებრ მოწოდებასა და უმოწყალო დაბრუნებას ვერ დაუდგა და ხელი წააგო.

ოღონდ მერე ყველაფერი შეიცვალა — კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ვერკერკის ტაქტიკური გონებრივი რესურსები მისი ფიზიკური ილაჯის უკუპროპორციულად არის განვითარებული და ბიურგსმიულერმა მეორე წრეში გაატანა.

ჰოლანდიელი ნამატჩევს მაინც კმაყოფილი ჩანდა, არც წაგების იმჩნევდა და არც იმას ეთანხმებოდა, ეს მარცხი ბითურ წინასაუიმბლდონო განწყობას შეგიმარაგებსო, რომ ეუბნებოდნენ.

„ჩემს თავს ზედმეტად არ ვკიცხავ — ამბობდა იგი — როლანგაროსობის შემდეგ შემიძლია, ნებისმიერ ჩაფლავებას ღიმილით შევეგებო. რატომ? იმიტომ, რომ — რაც უნდა ჩავისვარო, იქათა თებერვლამდე მაინც ზელცეული ვიქნები. ასე რომ, დასაკარგი არაფერი მაქვს".

აბა, ეგეთ ონოფრეს რა უნდა ელაპარაკო?!

ახლა კრაიჩეკს რაც შეეხება.

ოდინდელმა უიმბლდოსანმა, ვისაც მისთვის საზეო წლებში მძლავრი და ჩუბინი მოწოდება დაეკვეხოდა, უსახელო ფრანგ მუტის წინაალმდეგ ერთბაშად 13 ორმაგი შეცდომა დააგროვა. ამდენად, რა გასაკვირია, ჯამშიც რომ ვერაფერი გაეხერხებინა...

როგორც მერე მისმა მწვრთნელმა, როჰან გიოცკემ ნამატჩევს თქვა, კრაიჩეკს ჯერაც აწუხებს მოურჩენელი იდაყვი, რის გამოც — ორდინაოუფენი იქით იყოს — ის უიმბლდონსაც გამოაკლდება.

ეს კი, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ წლევანდელ სეფებალახობაზე მხოლოდ ორი ყოფილი უიმბლდონოსანი იჩოგნავებს — ლეიტონ ჰიუიტი და ანდრე აგასი .

**ქალები**
**საპრიზო 170 ათასი ევრო**

**პირველი წრე**

**ამელ მორესმო (3, საფრანგეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 1:6, 7:6 (7:5), 6:4; ნადია პეტროვა (5, რუსეთი) — ანჯელა ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:4, 3:6, 6:2**

**THE SAMSUNG OPEN**
**ნოტინგემი. ბალახი**
**საპრიზო 380 ათასი ევრო**

**პირველი წრე**

**ოლივიე როხუსი (ბელგია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:0, 4:1 ლაბაძემ შეწყვიტა; იუნეს ელ აინაუი (1, მაროკო) — ალექსანდერ ფასკე (გერმანია) 7:6 (7:2), 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) 6:2, 6:0; გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:4, 6:4; მაქს მირნი (6, ბელარუსი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3, 6:4; ტეილორ დენტი (აშშ) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:3, 6:4**

ადგილობრივ ფანებს ძლიერ აამათ მათმა ვეტერანმა ჯილამ გრეგ რუზეცკიმ, რომელმაც ნიჭიერი ფინელი იარკო ნიემინენი დაიმორჩილა.

რუზეცკი ტურნირის 1997 წლის ჩემპიონია და მის მიერ საპირველწრეო მატჩის მოგება თითქოს არც ისე გამოსაყოფი ამბავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ მძლავრად მოგლაჯუნე ბრიტანელმა ტრავმის გამო ცხრა თვე იუქმა და კორტს მხოლოდ ახლახან დაუბრუნდა — სეზონის პირველი გამარჯვებაც მხოლოდ წინა კვირაში, სტელა არტუას კონტპრუწა კორტზე მოიპოვა. თანაც — ცაცია ნიემინენი უკანასკნელი 12 თვის ერთ-ერთი ყველაზე „განვითარებული" მეჩოგნეა და მისი დამაჯერებელი ძლევა ამადაც გამორჩევით აღნიშვნას მოითხოვს.

სხვაფრივ — სრულყოფილი საბალახსაფრო ჩოგბურთი ითამაშა შარშანდელმა ჩემპიონმა იონას ბიორკმანმა, რომელმაც უფრო თიხნართან გაჩვეული რუსი, მიხაილ იუჟნი გააცამტვერა.



ელენა დოკიჩს თამაშის გარდა ყველაფერი ახარებს

**HASTINGS DIRECT INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS**
**ისტბორნი. ბალახი**
**საპრიზო 585 ათასი დოლარი**

**პირველი წრე**

**საორი ობატა (იაპონია) — ელენა დოკიჩი (6, სერბეთი და ჩერნოგორია) 6:3, 6:1; ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) — ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) 6:2, 6:4; აი სუგიამა (7, იაპონია) — ანე კიოტპავონგი (ბრიტანეთი) 6:2, 6:2; მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:7 (6:8), 6:3, 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 6:3; ანა პისტოლეზი (ისრაელი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:2, 7:6 (7:2); ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 7:6 (7:2), 4:6, 6:4**

ისტბორნულ საძოვრებს პირველსავე წრეში გამოეთხოვნენ მე-5 და მე-6 ნომრებად განთესილნი — ხაოქუნა რუსი ანასტასია მისკინა და „მისი სერბული უხიბლესობა" — ელენა დოკიჩი. წერწეტა ტასომ ვერაფერი გააწყო ბალახსაფარზე ნაჩაუქებსა და მრავალი ოფლის დამღვრელ ამანდა კუცერთან, ხოლო მშვენიერი დოკიჩი, რომელიც წლეულს ისეთი აჭრილია, თავის თავს მხოლოდ სხეულებრივი ბარაქითღა ჰგავს, მსოფლიო რეიტინგსის 89-ე საფეხურზე მდგომ საორი ობატასთან დამარცხდა.

მისკინა ბალახზე ძალზედ უხერხულად და შეუსაბამოდ ირჯებოდა, მასზე 10 წლით უფროსი და 12 სანტიმეტრით დაბალი ამანდა კი, ავოეე, უბერავდა — მეტოქე თავიდანვე რომ ალაგმა, სადავეები ბოლომდე აღარ მოუბოშებია. საჭიროებისამებრ უკანახაზიდან უბრაგუნებდა, საჭიროებისამებრ ბადესთან საფრთხებოდა — მოკლედ, მაგრად აზრზე იყო.

...ამ დროს კი ზევიდან ჰაამო ნიავი ქროდა და ზღვიდან მოფრენილი თოლიები ხატულად ეჩრდილებოდნენ მობიბინე კორტსა და მასზე მობუქნავე გოგონების დაბრაწულ კიდურებს.

მერე კი ხორბლისფერი, ღიმილოსანი დოკიჩიც მოითელა. უიმბლდონის ოდინდელ ნახევარფინალისტს, რომელიც ბალახზე სიამოვნებით ბურთაობს ხოლმე, ობატამ 44 წუთში გადაუარა.

დოკიჩმა აურაცხელი შეცდომა დაუშვა და სხვას ალბათ არც არაფერს უნდა გამოლოდებოდა.

„მთელი წელია, ამ დღეში ვარ — ჩიოდა მერე — ვერ იქნა და ვერ ავთამაშდი. მიზეზი? — წარმოდგენაც არა მაქვს. რომ ვიცოდე, გამოვასწორებდი კიდეც. არადა, ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად მიმდის, მაგრამ საკმარისია კორტზე გავიდე, ეგრევე ვფუჭდები".

**ლევან ძელაურაძე**



# მაკლარენს მეორედ გაუტყდა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**საფორმულო** გუნდები მორიგ სატესტო სერიას შეუდგნენ. მომავალი ეტაპისთვის მოსამზადებლად, რომელიც ათი დღის შემდეგ გერმანიაში, „ნიურბურგრინგზე" გაიმართება, ესპანური ხერესისა და ინგლისურ სილვერსტოუნის ტრასებია შერჩეული.

ინგლისში „ფერარის", BAR-ის „უილიამსისა" და „იაგუარის" პილოტები ვარჯიშობენ. პირველ დღეს ყველაზე სწრაფი რუბენს ბარიკელოს სისხლისფერი ბედაური იყო. მიხაელ შუმახერი თანაგუნდელის გარდა ზაუბერელ თანამემამულე ნიკ ჰაიდფელდსაც ჩამორჩა. მეოთხე შედეგი აჩვენა უილიამსელმა ხუან პაბლო მონტოიამ, რომელმაც რუბინიოსთან წამზე მეტი წააგო.

„მაკლარენსაც" თავიდან „სილვერსტოუნი" ჰქონდა შეგულებული, მაგრამ მოსალოდნელი უამინდობის თუ სხვა მიზეზით, გადაწყვეტილება შეცვალა და ესპანეთს მიაშურა. „ვერცხლისფერი ისრების" მრბოლები უახლეს, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხედნავ მოდელს ცდიან. ხერესის წრე ოთხი გუნდის პილოტთაგან უსწრაფესად კიმი რაიკონენმა გაიქროლა სწორედ ამ ახალთახალი, რბოლებში ჯერაც გამოუცდელი „მაკლარენ MP4/18"-ით, რომელსაც სიჩქარე არ დაეწუნება, საიმედოობა კი აშკარად აკლია. მძიმე ავარია შეემთხვა მაკელთა ტესტდრაივერ ალექსანდრვურცს — ავსტრიელის მანქანა ერთ-ერთ მოსახვევში ტრასიდან გავარდა და დამცავ ბარიერს მიეხეთქა. ბოლიდს ცეცხლიც კი წაეკიდა, თუმც მარშლებმა უცებ ჩააქრეს. მრბოლი ავტოდრომის სამედიცინო ცენტრში გააქანეს, სადაც მსუბუქი ტრავმები და მცირე დამწვრობა დაუდგინდა.

ეს მეორე მსგავსი შემთხვევაა: რაიკონენმა ორი კვირის წინ ბარსელონაში ტესტებისას თავისი მუსტანგი უარესად დალეწა.

**გია ახალაძე**



ახლა „მაკლარენს" პრობლემები არ ელევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა დიადს ავსტრალიის ნაკბენი დღემდე ახსოვს

*ძალმოსილი ინგლისელი „ვარდები" საკუთარ ნახევარსფეროში ყველას დაჩხვლეტის შემდეგ ეკვატორის სამხრეთ სარაგბო კუნჭულებს სტუმრობენ და იქაურ ბობოლებს ეტოლებიან. განვლილ უქმეებზე ინგლისის რჩეულმა შვილებმა ახალ ზელანდიაში იქაური „შავები" 15:13 დაამარცხეს. ამ უქმეებზე კი მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიას ეწვევიან. სწორედ იმ ავსტრალიას, რომელიც ავსტრალიაში არასდროს დაუმარცხებიათ.*

სადღეისოდ ინგლისის ნაკრები პირველია რეიტინგსიაში, მაგრამ გუნდის ახალგაზრდა დამრტყმელი ჯონი უილკინსონი არ თვლის, რომ მას და მისიანებს საკმარისი საფუძველი აქვთ, თავიანთი გუნდი მსოფლიოში უძლიერესად მიიჩნიონ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ავსტრალიას ავსტრალიაშივე არ მოუგებენ.

„მე ავსტრალიას ისე ვუყურებ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს, რომელიც ინგლისელებს არასდროს დაგვიმარცხებია მის მოედანზე. ჩვენ კი მათ არაერთხელ დავუჩოქებივართ, მათ შორის ჩვენსავე მიწაზეც. კი, ჩვენ გავიმარჯვეთ ახალ ზელანდიაში, მაგრამ ავსტრალია უფრო ძლიერ მეტოქედ გვესახება და მასთან უკეთ გარჯა გვმართებს."

ინგლისმა ახალ ზელანდიას სწორედ უილკინსონის წყალობით მოუგო, ფეხჩუბინმა ჯონიმ მოინაგარა თავისიანთა 15-ვე ქულა. „ვარდების" 24 წლის გამთამაშებელი, როგორც ყოველთვის, შესანიშნავ ფორმაშია და ინგლისელებს მისი დიდი იმედიც აქვთ. მაგრამ არსებობს ერთი კითხვა, რომელიც ხალხს ღრღნის — თითქმის სრულყოფილ ჯონის ავსტრალიელების ხომ არ ეშინია?

ინგლისის ნაკრებში არაერთი მოიძევება, ვისაც ავსტრალიის კომპლექსი სჭირს და მათ შორის, სავსებით შესაძლოა, უილკინსონიც იყოს. უილკინსონი ავსტრალიელებს პირველად 1998 წელს შესკდა. მაშინ ის მხოლოდ 19 წლის იყო და ინგლისი იმ თამაშში 0:76 განადგურდა. განა ცოტა მიზეზია გულში შიშის დასათესად? უილკინსონი, დღეს მსოფლიოს თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, მუდამ კრძალვით საუბრობს „ვოლაბებზე" და ახსოვს ხუთი წლის წინანდელი მარცხი.

„მე ამ გრძნობას შიშს არ ვუწოდებდი. პირიქით, ეს ჩემი მუდმივი სტიმულია. გარკვეულწილად იმ მარცხმაც შემიწყო ხელი, ვქცეულიყავი იმ მოთამაშედ, რომელსაც თქვენ უყურებთ. ასე ვთქვათ, ისინი ჩემი მასწავლებლები არიან."

ჯონი უილკინსონი არც ცდილობს მომავალი მეტოქის მიმართ კრძალვის დამალვას ისევე, როგორც მისი ავსტრალიელი ოპონენტი ნათან გრეი მის მიმართ. ამ ტესტ მატჩში ავსტრალიელთა გამთამაშებელი სწორედ გრეი იქნება. გრეი ნომინალური შუამარბია და 10 ნომერზე მისი თამაში გარემოებამ მოიტანა, „ვოლაბების" ძირითადი დამრტყმელი სტივენ ლარკემი დამტვრეულია, ხოლო ამისი შემცვლელი ელტონ ფლეტლი ნაკრებიდან გაგდებულია დისციპლინის დარღვევის გამო.

ჰოდა, იმას ვამბობდით, ნათან გრეი პირდაპირ ამბობს, მე ჩემსას ვეცდები, გუნდი არ დავალალატო, მაგრამ ჯონი უილკინსონთან საჯარიმოების და გარდასახვების შესრულებაში ახლოსაც ვერ მივალო. „მე მას ვერ ვაჯობებ, ეს ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვცადოთ. სათამაშო სტრატეგიაც ამ ფაქტორის გათვალისწინებით შედგება. ვეცდებით, დიდხანს ვაკონტროლოთ ბურთი და მეტოქეს ნაკლებად დავუთმოთ, რითაც ჩვენს წინააღმდეგ დანიშნული ჯარიმების რაოდენობას შევამცირებთ."

ამ მატჩთან დაკავშირებით თავის აზრს გამოთქვამს ინგლისელთა კაპიტანი, ბებერი მგელი მარტინ ჯონსონიც: „ავსტრალია საშიში მეტოქეა, თანაც ახლა კარგ ფორმაშია. „ვოლაბებმა" ჩვენამდე სულ იოლად დაამარცხეს ირლანდია და უელსი. ჩვენ კი მოვუგეთ ახალ ზელანდიას, მაგრამ ამ გუნდისთვის ეს ტესტი პირველი იყო. ასე რომ, იმ მატჩის შედეგით ვერ გავზომავთ საკუთარ ძალას. არადა, ძალიან გვწადია ავსტრალიის დამარცხება ავსტრალიაშივე, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. მაგრამ ერთსაც ვიტყვი, რაც არ უნდა მოხდეს ახლა, მოვიგებთ თუ ვერა, მსოფლიოს თასზე თუ ბედმა კვლავ შეგვყარა, ის თამაშიც 0:0 დაიწყება და მაშინაც ისევე მზად უნდა ვიყოთ, როგორც ახლა."

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ავსტრალია — ინგლისის მატჩს წინ იმხელა აჟიოტაჟი უძღვის, თვითონ თამაში ნამდვილი ომი უნდა იყოს. გასეირნებას და შოუს არც არავინ ელის. აქ ორი დიდი სარაგბო ქვეყანა მსოფლიოში პირველობისთვის ედავება ერთმანეთს.

**კოტე ყორშია**



ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი ჯონი უილკინსონი და ბებერი კაპიტანი მარტინ ჯონსონი ავსტრალიასთან შეხვედრის წინ ფრთხილობენ





დავით ხინჩაგაშვილი

# ქართული ხუთკაცა ბეზიეში

საქართველოს ნაკრების 20 წლის მორკინალმა დავით ხინჩაგაშვილმა ელიტარული ლიგიდან დაქვეითებულ „ბეზიესთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ხინჩაგაშვილი აქამდე უამბიციო „სენ-ნაზერის" შერკინებას ამაგრებდა. ჩვენი მორკინალი „ბეზიეს" მე-5 ქართველი იქნება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელის მშობლიურ კლუბში დავითის გარდა ოთხი ბორჯღალოსანი — მევლუდ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე და ვანო ნადირაძე ირიცხებიან.

„ბეზიე" წლეულს დაქვეითდა ქვე-ელიტარულ ლიგაში, თუმც გაისად ისევ უძლიერესებში თამაში სურს. ტიტულიანი კლუბის ხელმძღვანელობაც ამიტომ აძლიერებს შემადგენლობას და აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს.

ხინჩაგაშვილს საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში უთამაშია, წლევანდელ ერთა თასზე კი ეროვნულ გუნდში მისი ნათლობაც შედგა. დავითმა პორტუგალიელებთან და ესპანელებთან ითამაშა. ხინჩაგაშვილი ამპლუით შერკინების მარჯვენა ბურჯია, თუმც ჰუკერადაც (მე-2 ნომერი) მღგარა. მისი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" იყო.

# მრთი ქალი მიყვარდა და...

## მწოლიარე ლომუს არაეროტიკული მემუარები

*ერთ დროს მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავი ჯონ ლომუ ახლა ლოგინადაა ჩავარდნილი. მას თირკმლის ქრონიკული დაავადება სჭირს და დიალიზზე ამუშავებს სნეულ ორგანოს. ცხადია, ლომუს რაგბი დროებით (დიდი შანსია, სამუდამოდ) მოკვდა და მასაც თავისუფალი დრო თავსაყრელად აქვს. ნარმოშობით ტონგელმა გოლიათმა ქველმოქმედებას მიჰყო ხელი და ინტერვიუებსაც უხვად არიგებს. ასეთ ვითარებაში ლომუს რაგბი და მისი კარიერა ნაკლებად საინტერესოა. ჰოდა, ჟურნალისტები მისი პირადი ცხოვრებით უფრო დაინტერესდნენ და რამდენიმე საყვითელპრესო ამბები დასცინცლეს. ყველაზე დიდი ხმაური კი ჯონას ერთ-ერთ ინტერვიუს მოჰყვა, რომელიც მან ქალების საკითხავ ჟურნალს მისცა და რომელშიც იგი აქამდე დაფარულ გულისამაჩუყებელ სიყვარულში გამოტყდა*



ჯონა ლომუ ერთ დროს მარტინა ჰინგისთანაც ლაღობდა

ლომუს ვარსკვლავი 1995 წლის მსოფლიოს თასზე აკაშკაშდა. ვარსკვლავობამ მას დიდი შემოსავალიც მოუტანა. ტონგადან მეზობელ ახალ ზელანდიაში ლუკმა პურის საშოვნელად გადასული ავტოხელოსნის შვილი რესპექტაბელური და ელიტარული საზოგადოების წევრი გახდა. ჯონას საბანკო ანგარიში გეომეტრიული პროგრესიით მდიდრდებოდა, მულატი ვაჟკაცი კი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. მაშინ ჯონა 19 წლის იყო, მისი 196-სანტიმეტრიანი და 125-კილოგრამიანი დაკუნთული სხეული კი ვნებიან ლამაზმანთა ტკბობის ობიექტი გახდა.

რა გასაკვირია, რომ ჯონა სიყვარულის ხლართებში გაება და წამიერ ტკბობასთან ერთად ნაღდი სიყვარულიც იგემა. აი, რა უთხრა მან ზემოთ ნახსენებ ჟურნალს: „1996 წელს უკვე ძალიან პოპულარული ვიყავი. მაშინ ერთი ქალი შემიყვარდა. ის 42 წლის იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. ორი შვილი ჰყავდა, უფროსი გოგო 19 წლის, ჩემი თანატოლი იყო, უმცროსი ბიჭი — 17-ის. ამ ქალის სახე დღემდე არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან."

„სასტიკმა" ჯონამ, როგორც მას მეტოქეებმა შეარქვეს, ვერ გაბედა, მშობლებისთვის გაენდო დედისტოლა ქალის სიყვარული და ეს გრძნობა თავის გულში შეინახა: „იცით, ის ქალი ქმარს გაშორებული კი იყო, მაგრამ... დამიჯერეთ, მართლა პატიოსანი ადამიანია, თანაც მაშინ ძალიან პოპულარული ვიყავი. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ გამემხილა მისდამი ჩემი სიყვარული. პრესა აიკლებდა მას, მოსვენებას არ მისცემდა. კიდევ, მისი შვილების მომერიდა, იქნებ ეს ამბავი მათთვის შოკის მომგვრელი ყოფილიყო".

ჯონამ საიდუმლოდ დატოვა ამ ქალის ვინაობა. ლომუ ამბობს, რომ მას სიმყუდროვეს თავისი აღსარებით არ დაურღვევს. არადა, ეს მთაკაცი დღესაც თვალებაცრემლებული იხსენებს მის ღიმილს, საუბარს...

„ერთადერთი, რაც მინდა გავაკეთო, ისაა, რომ მივიდე ამ ქალთან და ვუთხრა — მე შენ მიყვარდი! ახლა იგი 50 წლისა იქნება და ალბათ თავისი მყუდრო ოჯახით ტკბება. ამ ქალის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლა მაიამიში ცხოვრობს" — ძლივს ამოღერღა ჯონამ.

კითხვაზე, როგორ მოიქცეოდა ჯონა, თუ ეს იდუმალი ლამაზმანი მას კიდევ შეხვდებოდა და ჩაფერფლილ სიყვარულს გააღვივებდა, მან უპასუხა: თქვენ გგონიათ, მას ასაკი რამეს დააკლებდა? არა! იგი მიყვარდა ბავშვის გულით, უანგაროდ. ალბათ ახლა უფრო ლამაზია, ის ხომ პლანეტის ფერიაა!"

აქ ლომუმ აღარ ისურვა ამ თემაზე საუბარი და ინტერვიუს პირადცხოვრებისეული მონაკვეთი დასრულა. სამაგიეროდ, ბოლოსიტყვაობად ეს დაამატა: „ცოლად მოვიყვანდი, თუ ის დამთანხმდებოდა. მას წლები ვერაფერს დააკლებს".

ლომუს სასიყვარულო თავგადასავლებზე აქვე დავასრულებდით წერას, მაგრამ ურიგო არ იქნება, მისი ცხოვრებიდან სამი რომანტიკული ეპიზოდი გავიხსენოთ.

მას შემდეგ, რაც ერთ დროს პლანეტის უპოპულარულესმა გოლიათმა „ის" ქალი გაიცნო, 7 წელი გავიდა. ამ ხანში კი ჯონას სამი რომანი გახმაურდა.

პირველი: 1997 წელს ლომუ იოჰანესბურგელ თინეიჯერს, ვინმე ანიტანს ჰყვარობდა, რომელთანაც ორი წელი ჰქონდა ამქვეყნიური ტკბობა.

მეორე: ბოლო ოთხი წელი ჯონა 24 წლის ტეინა სთეისთან ერთად ცხოვრობდა. მეტიც ისინი ამ გაზაფხულზე დაქორწინებას აპირებდნენ, მაგრამ...

„ტეინა განსაკუთრებული გოგოა, იგი ძალიან ლამაზი და არაჩვეულებრივი პიროვნებაა. თავადაც ვერ გავერკვიე, რა მოხდა, თითქოს ერთმანეთისადმი გრძნობები გაგვიცივდა. ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძე და მივხვდი, ტეინა ის ქალი არაა, ვისთანაც ცხოვრების ბოლომდე ბედნიერი ვიქნებოდი" — ასე ახსნა ლომუმ საცოლესთან ბოლო წამს დაშორება.

სამაგიეროდ, ტაბლოიდები მიდგნენ-მოდგნენ და წყვილის დაშორების მიზეზს ბრიტანეთში მიაგნეს.

ეს კი ჯონას მესამე გაცხადებული სასიყვარულო ამბავია: თურმე, ლომუს და ტეინას დაშორების მიზეზი ლონდონში მცხოვრები 30 წლის ინგლისელი ლამაზმანი ფიონა ტეილორია. სამი წლის წინ ფიონა ოკლენდის ერთ-ერთი მარკეტინგელი ფირმის აღმასრულებელი დირექტორი იყო. სწორედ მაშინ გაიცნეს ფიონამ და ჯონამ ერთმანეთი, ფიონა მალევე დაბრუნდა ლონდონში და ჯონას კარგა ხანს არ შეხვედრია.

შარშან შემოდგომაზე კი ლომუ ფიონას ბინიდან სისხამ დილით გამოსული დაინახეს. მაშინ ახალზელანდიის ნაკრებს, რომელშიც ჯონა ჩაუქობდა, ევროტურნე ჰქონდა და ინგლისთან ერთი ტესტიც ითამაშა. თურმე ჯონამ მატჩისშემდგომი ბანკეტიდან ფიონას შეუარა და მასთან გაათია ღამე.

ისე კი, ლომუს საყვარელთა სიაში უცნობილეს სექსმეჩოგნეებს, მარტინა ჰინგისსა და ანა კურნიკოვასაც მოიხსენიებდნენ. ეს სამეული „ადიდასის" სარეკლამო კამპანიაში ყველაზე ცნობილი სახეები და კომპანიონები იყვნენ.

**ბაჩო სვანიძე**

# რა საქმე აქვს მომღერალ აზმაიფარაშვილს კასპაროვთან?


ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონის თასით

*გუშინ ჭადრაკის სასახლეში გამართული პრესკონფერენცია ძირითადად ჩვენი მოჭადრაკე ქალ-ვაჟის ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას მიეძღვნა.*

*ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო გიორგი ყაჭეიშვილმა, მაია ლომინეიშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა, ანა მათნაძემ და სოფო ტყეშელაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეს.*

*პრესკონფერენციაზე ყველაზე ბევრი, ცხადია ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროპულ ოქროსა და სხვა ჩვენი მოჭადრაკეების შედეგებზე ისაუბრეს და დარბაზში ძირითადად სამადლობელი სიტყვები სჭარბობდა, თუმც პრეტენზიაც გამოითქვა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ვაჟების დელეგაციას არ ახლდა არც ერთი მწვრთნელი. ეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნინო გურიელმა ფინანსების უქონლობით ახსნა და დასძინა, რომ მომავლისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებლად იზრუნებს*

**ნინო გურიელი,** *საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:*

— დღეს მართლაც საზეიმოდ გვაქვს საქმე, ვაჟთა ჭადრაკში კონტინენტის ჩემპიონი გვყავს. როდესაც ჩემპიონატზე მივდიოდით, რომელიმე საპრიზო ადგილზე გვქონდა პრეტენზია, რადგანაც აქამდე უკვე გვყავდა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი — ზურაბ აზმაიფარაშვილი, მაგრამ, როგორც ხედავთ, შედეგი გავაუმჯობესეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ხუთი ლიცენზიაც მოვიპოვეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ცხრა საგზური დავიბევეთ. მიხარია, რომ ეს ყველაფერი ჩემი პრეზიდენტობის დროს მოხდა.

ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე სულ 207 მოჭადრაკე მონაწილეობდა, რომელთაგან ორმოცდაათს უძლიერესი ეთქმოდა. მესამე ტურში, როცა ზურაბმა დუშკო პავასოვიჩი დაამარცხა, რაღაც იმედი მოგვეცა. ამის შემდეგ აზმაიფარაშვილმა რთული შეხვედრები ჩაატარა ვლადიმერ მალახოვთან და ლუკ ვან ველთან და საკმაოდ გვანერვიულა.

ყველაზე მეტი სწორედ ბოლო ტურებში ვინერვიულეთ, რადგან დიდი ისტორიული ფაქტის მომსწრე ვხდებოდით და, ჩვენდა სასიხარულოდ, ყველაფერი კარგად გასრულდა. მართალია, წელიწადი ჯერ არ დასრულებულა და წინ კიდევ სპორტის ბევრ სახეობაში მრავალი შეჯიბრია დაგეგმილი, წლის საუკეთესო 10 სპორტსმენში მოხვედრის პრეტენზია უკვე გვაქვს. ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ, ევროპის ჩემპიონის გვერდით რომ ვდგავარ.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი,** *ევროპის ჩემპიონი და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი:*

— დიდი მადლობა ყველას ამ დიდი მხარდაჭერისა და გულთბილი შეხვედრისთვის. მოგეხსენებათ, შეჯიბრების წინ სპორტსმენისთვის საჭიროა კარგი მომზადება, მწვრთნელი, ფსიქოლოგი და ახლობელი ადამიანი, ასეთი კი ჩემი მეუღლე აღმოჩნდა, რომელმაც დიდად შემიწყო ხელი გაჩემპიონებაში. ასევე ჩემს გვერდით იდგა ნინო გურიელი. მასთან ერთად სადაც წავედი, ყველგან წარმატებას მივაღწიე. ჩემპიონატზე ნორმალური შედეგისთვის ვემზადებოდი და, არ დაგიმალავთ, ათეულში მოხვედრასაც დიდ წარმატებად ჩავთვლიდი. როცა მესამე ტურში დავწინაურდი, იმედი მომეცა, რომ ჩემპიონატს მოვიგებდი, ამან კი ახალი ძალა და ენერგია შემმატა. ასევე მადლობას ვუხდი ჩემს მეტოქეებს, რომლებიც კარგად თამაშობდნენ და მოდუნების საშუალებას არ მაძლევდნენ. ამ ყველაფერმა ერთად კი ჩემზე დადებითად იმოქმედა და გავიმარჯვე კიდეც. გამოგიტყდებით, თავიდან ამას არც ველოდი, მაგრამ მთავარია, რომ ჩემპიონობა დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ და ის არ გვაჩუქეს.

**ნონა გაფრინდაშვილი,** *მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი:*

— ვაჟთა ჭადრაკში ეს ისტორიული მოვლენაა, მსგავსი შედეგი ჯერ არ გვქონია. წინ მსოფლიოს პირველობაა და იმედია, აზმაიფარაშვილი კვლავ გაგვახარებს. საქართველოში ნიჭიერი ახალი თაობა მოდის და კარგი იქნება, თუ მათ ხელშეწყობა ექნებათ. ჭადრაკი ხომ ისეთი სახეობაა, სპორტსმენს ასაკის მიუხედავად მთელი ცხოვრება შეუძლია თამაში.

**დავით გურგენიძე,** *საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:*

— ზურაბ აზმაიფარაშვილს ადრეც ჰქონია დიდი წარმატებები, თუნდაც 1998 წელს ელისტაში საჭადრაკო ოლიმპიადაზე, თუმცა ახლა ასეთი შედეგი პირველია და იმედია, ეს ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:**

— ევროპირველობის შემდეგ ფიდეს რეიტინგში 20 პუნქტი მომემატა და 2700-ს გადავაბიჯე. ახლა სუპერელიტაში ვარ, რაც კარიერაში პირველად მოვახერხე.

ჩემპიონატზე რამდენიმე ახალი სადებიუტო სისტემა გამოვიყენე. მათი გამოყენებისას მე არ მჭირდება ერთთვიანი შეკრების გავლა, თუ მომეწონა, უმალ ვირჩევ ხოლმე. ძალიან გამიჭირდა ვან ველთან თამაში. მასთან შეხვედრამდე ყაჭეიშვილსა და იზორიას გავესაუბრე ლა დებიუტების შესახებაც დავეკითხე. დანარჩენი კი თქვენც იცით. დაძაბულ ბრძოლაში დავამარცხე ჰოლანდიელი და ლიდერობა განვიმტკიცე.

ჩავლილი ევროპის ჩემპიონატის გარდა, დარბაზში მსხდომთ ასევე მრავალი სხვაც აინტერესებდათ. მაგალითად, ითამაშებს თუ არა აზმაიფარაშვილი რომელიმე დახურულ ტურნირზე, სადაც კასპაროვი და მისნაირი დიდოსტატები გამოდიან ან რა ბედი ეწევა კრამნიკ-ლეკოს მატჩს.

— თუ ამ ტურნირის ორგანიზატორებს ჩემი დიდი გვარი არ შეაშინებთ, მაშინ მეც მათამაშებენ. სინამდვილეში კი, მოგეხსენებათ, რომ ამჟამად მსოფლიოში კომერციაა გამეფებული და ყველგან ფული ტრიალებს. მე მყავს ბულგარელი მენეჯერი დანაილოვი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ პონომარიოვის მენეჯერიცაა. თუ დანაილოვი გამონახავს საშუალებას, დაუკავშირდება ამ ტურნირის ორგანიზატორებს და საჭირო გასამრჯელოს მოითხოვს, ალბათ, ჩამსვამს კიდეც ასეთ ტურნირებში.

რაც შეეხება ლეკო-კრამნიკის მატჩს, ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა თქვა, რომ ვლადიმირ კრამნიკს თანხაზე აქვს პრეტენზია და იგი ეცოტავება. თუ კრამნიკს სურს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ეგრეთ წოდებულ „გამაერთიანებელ" მატჩში მონაწილეობა, რაღაც უნდა დათმოს და ფიდეს სთხოვოს ამ მატჩის ორგანიზება, თუ არადა, მსოფლიოს ჩემპიონი კასპაროვ-პონომარიოვის მატჩში გაირკვევა.

ბოლოს კი ერთი კურიოზიც. ამ დღეებში ერთ-ერთ არხზე ჩატარდა გამოკითხვა. ხალხს ეკითხებოდნენ, ვინ არის ზურაბ აზმაიფარაშვილი. გამოკითხულთა საკმაო ნაწილმა სახელოვანი მოჭადრაკე დიდ მომღერლად დაასახელა.

„ესეც დიდი წარმატებაა, ხალხი რომ გიცნობს" — განაცხადა ამის თაობაზე ხუმრობით აზმაიფარაშვილმა.

ჩავლილ ევროპის პირველობასა და ქართველთა შედეგებზე ამ ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე მოჭადრაკესაც დავეკითხეთ.

**ლელა ჯავახიშვილი,** *დიდოსტატი:*

— წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. აქ ძირითადად ევროპის საჭადრაკო ელიტა იყო შეკრებილი და მიხარული ვარ, რომ ასეთ ხალხთან პაექრობაში მოვიპოვე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური. მთლიანობაში ჩემი შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან თავიდანვე არ ვიყავი ჩემპიონობის ან რომელიმე საპრიზო ადგილისთვის განწყობილი. ჩემთვის მთავარი საგზურის მოპოვება იყო და ეს მოვახერხე კიდეც.

**ანა მათნაძე,** *დიდოსტატი:*

— ძალიან მნიშვნელოვანი შეჯიბრი იყო ქართველებისთვის და დიდი პასუხისმგებლობითაც მოვეკიდეთ. პირადად ჩემი შედეგით კმაყოფილი ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოვიპოვე, თუმც მეტიც შემეძლო, რამდენიმე ლასანანი შეცდომა რომ არ დამეშვა.

**ლაშა გეგეჭკორი**


ნინო გურიელი


ნონა გაფრინდაშვილი



# ლუისმა კლიჩკომდე ბექემს დაარტყა

## სანმა გასხვისებულ ვარსკვლავს ზურგში სიტყვა მიაყოლა



ლენოქს ლუისმა დაიჭირა, დევიდ ბექემზე დიდი გარსკვლავი გარო

**ინგლისური** ყვითელი პრესის ლიდერმა „სანმა" ეროვნულ-პატრიოტული დაიჭირა და სამშობლოდან მადრიდისკენ გეზდაჭერილ დევიდ ბექემს დამცინავი ლოზუნგებითა და ცინიკური სათაურებით მიაცილებს.

„სანმა" ბექემს ინგლისური სპორტის სხვა დიადი, იამაიკელ-კანადელ-გაბრიტებული კრივის მსოფლიო ჩემპიონი ლენოქს ლუისი დაუპირისპირა, რომელსაც ამ შაბათს კრივობა აქვს ლოს ანჯელესში.

ლუისმა ტრაბახით მიმოიხილა ბექემ-ვიქტორია ადამსის ამასწინანდელი ჰოლივუდური ტურნე და თქვა, იქ ბექხის წარმატების მიუხედავად, მე მასზე ბევრად განთქმული ვარო.

„თავიდან, ამერიკელებისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ მართლა ძალიან მაგარი ვარ. ეს მოვახერხე და პატივისცემა დავიმსახურე. დევიდ ბექემზე ათჯერ პოპულარული ვარ, რადგან ემტივის შოუებზე გამოსვლით კი არა, ოფლით მოვიპოვე. მე იმ სპორტსმენებს არ ვგავარ, ვისი სახელიც გაზეთების მეშვეობით შეიქმნა."

ლუისმა თქვა, რომ თუ შენი ოსტატობით სახელს არ უმაგრებს ზურგს, არაფერი გამოგივა.

ლუისის ნათქვამი გასაგებია, თუმცა, ბექემი რატომ არის ცრუ ფეხბურთელი, გაუგებარი. ლუისმა, უბრალოდ, ის უთხრა „სანს", რაც ამ გაზეთს სჭირდებოდა. მთელი გრძელი ინტერვიუს დროს მან ერთადერთხელ ახსენა ბექემი, ისიც, რახან ჰკითხეს, ამერიკაში ბექემზე პოპულარული თუ ხარო და გაზეთმაც ეს ამბავი აქცია მთავარი ისტორიად.

რაც შეეხება საშაბათო ჩხუბს „სტეიპლს სენთერში", ვიტალი კლიჩკოს წინაამდეგ, ლენოქსმა თქვა: „ნოკაუტით მოგებას ვგეგმავ." ლენოქს ამ ამბავში მისი სპარინგ-პარტნიორი, დეტროიტელი ტაი ფილდსიც დაეთანხმა: ჩემს ტანზე ვგრძნობ, რომ ნოკაუტი იქნებაო.

„ხალხს უკვირს, რომ 37 წლის, დიდებით მოსილი კაცი ვარ და კრივს მაინც არ ვანებებ თავს" — თქვა ლუისმა. „პასუხი მარტივია: მე იმ საქმეს ვაკეთებ, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი. ეს უდიდესი სიამოვნებაა."

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

REUTERS ბანგკოკიდან



REUTERS ვანკუვერიდან



# ქალთა ჯანმები

ვანკუვერში გახურებულა შვიდქალა და შვიდკაცა სარაგბო ტურნირი ჩერჩილის თასზე, რომელშიც ამერიკის, კანადის და ინგლისის ნაკრებები მონაწილეობენ. აი, რა ხდება კანადელთა და ინგლისელთა თამაშისას. კანადელი კელი მაკკალუმი (მუქ სამოსში) ინგლისელი ნიკოლა კროუფორდის წამოქცევას ლამობს. თამაში ინგლისელებს 20:5 მოუგიათ, მაგრამ არანაკლები ძიძგილაობაა ქალთა ფეხბურთშიც. ბანგკოკში ორი კორეის ნაკრებები იბრძვიან და კომუნისტი ჯინ პიოლ ჰუი სონგ ჯუჰის შეკავებას ცდილობს.

REUTERS ჩიკაგოდან



# ახლოთა დოლი

ასკოტის სამეფო დოლი ხუთდღიანი ამბავია, რომელსაც გვარიანი ადგილი უჭირავს ბრიტანეთის დიდგვაროვანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უქმეებზე ბერკშირში დოლი ჩატარდება, მოსეირენი კი სულ საგანგებოდ ნარჩევ-ჩაცმულნი შუა კვირიდან იყრიან თავს ასკოტში. ზარა ფილიპსი დედოფალ ელისაბედის ერთ-ერთი შვილიშვილია და ასკოტში თავის მეგობართან, ჟოკეი რიჩარდ ჯონსონთან ერთად ჩასულა.

# ატანასიოს მინდორზე

განთქმულ კოლუმბიურ ქალაქ მედელინს ლიბერტადორესის თასის საპასუხო ნახევარფინალის სათამაშოდ სწვევია ბრაზილიის „სანტოსი", რომელიც იქაურ „ინდეპენდიენტეს" ატნასიო ჟირარდოს სტადიონზე უნდა ეთამაშოს. ვარჯიშობისას რობსონ დე სოუზას, რობინიოს სახელით ცნობილს, კოლუმბიელი პოლიციელის ავტომატის გასინჯვა მონდომებია. პოლიციელიც უარს არ ყოფილა.

REUTERS მედელინიდან




REUTERS ჩიკაგოდან



# განწვალდა

არ იფიქროთ, რომ განთქმული მეგოლფე სერხიო გარსია ამთქნარებს ან კბილი სტკივა. სერხიო გარსიამ უმიზნა, უმიზნა და ააცდინა. ბოლოს კი ჩააგდო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რაც მეტს ურტყამ გოლფში, მით ცუდია. ამბავი კი ჩიკაგოს ახლო, ამერიკის ღია პირველობაზე ხდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგიაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge